

განგაზი

რუსეთის მხარდებელი  
(პიესა ორ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:

**იოსებ ჯუღაშვილი**, სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**მამა იონა** – მღვდელი, გორის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი;

**ილია ჭავჭავაძე**;

**ასოთამწეობი** – „ივერიის“ ასოთამწეობი;

**მამა იოანე** – მღვდელი, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, ავტოკეფალისტი;

**ანასტასია** – თავადის ქალი;

**სოფიო** – თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;

**ანა** – თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;

**მაია** – თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;

**ნუცა** – თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;

**გარსევანი** – თავადი, ანასტასიას მამა;

**სალომე** – გარსევანის მეუღლე;

**ნოე ჟორდანია** – სოციალ-დემოკრატი, ქართველ მენშევიკთა ლიდერი;

**ვლადიმერ ლენინი** – სოციალ-დემოკრატი, რუს ბოლშევიკთა ლიდერი;

**გრიგორი ზინოვიევი** – სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**ფილიპე მახარაძე** – სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**სერგო ორჯონიკიძე** – სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**ბოგდან კნუნინცი** – სომეხი სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**სიმონ ტერ-პეტროსიანცი (კამო)** – სომეხი სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**ვასილ ცაბაძე** – სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი;

**კეკე** – ეკატერინე გელაძე, იოსებ ჯუღაშვილის დედა;

**მამა გიორგი** – მღვდელი, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, ბაქოს რუსული ეკლესიის ღვთისმსახური;

**ლევ ტროცკი** – სოციალ-დემოკრატი, გაზეთ „პრავდის“ რედაქტორი;

**ფელიქს ძერჟინსკი** – სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;

**კარლო ჩხეიძე** – სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს პირველი თავმჯდომარე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

**ირაკლი წერეთელი** – სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის მინისტრი.

## პირველი მოქმედება

### პირველი სცენა

გორი. სასულიერო სასწავლებელი. საკლასო ოთახი. მაგიდასთან ზის საღვთო სჯულის მასწავლებელი, დეკანოზი მამა იონა. წინ, მერხთან ზის იოსებ ჯუღაშვილი. დრო: 1894 წელი.  
(*მამა იონას მაგიდაზე რეველების შეკვრა უღევს. შეკვირდნ რეველს აიღებს, გადაშლის, ერთ ფურცელს ყურადღებით ჩაიკითხავს.*)

**მამა იონა:** შვილო იოსებ! მე წავიკითხე შენი თხზულება, მომეწონა, თუმცა ერთი ადგილის წაკითხვისას გაცოცხლებული დავრჩი.

**იოსებ ჯუღაშვილი** (*თავხაღუნული*): რომელი ადგილი არ მოგეწონათ, მამა იონა!

**მამა იონა:** არ მომეწონა-მეთქი, არ მითქვამს, გაცოცხლებული დავრჩი-მეთქი! ვერ ხვდები, რას ვგულისხმობ?

**იოსებ ჯუღაშვილი** (*თავს აიღებს*): ვერა, ვერ ვხვდები!

**მამა იონა:** აბა, მისმინე! შენ სწერ, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმა მდიდრებმა მოითხოვესო! ხომ ასეა?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასეა!

**მამა იონა:** ახალი აღთქმა, წმიდა მოციქულები ადამიანებს მდიდრებად და ღარიბებად კი არ ჰყოფენ, არამედ იესოს მიმდევრებად და მის მოწინააღმდეგეებად. იესოს მიმდევრები, ისევე, როგორც მოწინააღმდეგეები, ღარიბებშიაც ჰყავდა და მდიდრებშიაც.

**იოსებ ჯუღაშვილი:** იესოს დევნიდნენ ფარისევლები და მღვდელმთავრები. ისინი ხომ მდიდრები იყვნენ?

**მამა იონა:** კარგი! ზაქე, ასისტავი, იოსებ არიმათიელი და პავლე მოციქული ღარიბები არ ყოფილან. მათ იწამეს იესო ქრისტეს მოსვლა ამქვეყნად და მისი მკვდრეთით აღდგომა. ბევრი სხვა შეძლებული ადამიანიც იყო იესოს მიმდევართა შორის. ისევე, როგორც მათ შორის, ვინც გაჰყვიროდა: „ჯვარს აცვ ეგე!“, ღარიბებიც იქნებოდნენ.

**იოსებ ჯუღაშვილი:** იქნებოდნენ, მაგრამ ისინი მდიდრებმა აცდუნეს!

**მამა იონა:** მაგრამ გადაწყვეტილება მათ თვითონ მიიღეს, მიიღეს იმიტომ, რომ არ სწამდათ ან მცირედ მორწმუნენი იყვნენ. ვერ აცთუნეს ის, ვინც რწმენაში მტკიცე და შეუვალი იყო. ასეთები კი ღარიბებიც იყვნენ და მდიდრებიც.

**იოსებ ჯუღაშვილი:** მამა იონა! იესო ქრისტე ხომ უპოვართა და გლახაკთა გამოსახსნელად მოვევლინა ქვეყნიერებას. მდიდრებს მისი მოსვლა რატომ უნდა გაჰხარებოდათ?

**მამა იონა:** შვილო იოსებ! მაცხოვარი ადამიანთა მოდგმის ცოდვების გამოსახსნელად მოვევლინა ქვეყნიერებას. მისთვის მდიდარი და ღარიბი ერთი იყო. ჩვენი ეკლესია ადამიანებს ჰყოფს მორწმუნეებად და ურწმუნოებად. ფულის შოვნა, გამდიდრება ღვთის გამოხასიათებად არ ნიშნავს, თუ ეს ფული შრომით, პატიოსანი გზით არის მოპოვებული და იგი კეთილ საქმეს მოხმარდება. აბა, დაფიქრდი: ღვთისმგმობელი ღარიბი არ შეგხვედრია? რამდენი მდიდარია ამქვეყნად, წყალობას რომ უხვად გასცემს, ქვრივ-ობლებს ეხმარება, ეკლესიებს აშენებს, რწმენაშიც მტკიცეა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ეგეთი მდიდრები ძალზე ცოტანი არიან!

**მამა იონა:** ცოტანი რატომ? ჩვენი ეკლესიები და მონასტრები უმეტესად მეფეთა, დიდაზნაურთა და, საერთოდ, ამა სოფლის ძლიერთა მიერაა აგებული.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ახლა სხვა დროა! ახლა ეგრე არ არის!

**მამა იონა:** შენ გუშინ ხელში გაზეთი „ივერიის“ გეჭირა. მოგწონს ეგ გაზეთი?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ძალიან!

**მამა იონა:** ჰოდა, დაიმასხოვრე: მაგ გაზეთის გამომცემელი და რედაქტორი თავადი ილია ჭავჭავაძეა. ილია ქართველთა საქმისათვისაა გადაგებული. ილიას თაოსნობით დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, აღსდგა ქართული თეატრი; ილიამ დააარსა ეგ შესანიშნავი გაზეთი, შენ რომ ასე მოგწონს. შენ ჭკვიანი და ბეჯითი ყმაწვილი ხარ, ალბათ, სასწავლებლად თბილისში წახვალ, მოგეცემა საშუალება პირადად გაიცნო ილია ჭავჭავაძე. ილიას რომ გაიცნობ, დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში. მანამდე კი მე შენ ილიას ლექსებისა და მოთხრობების კრებულს მოგიტან და თვითონ დარწმუნდები, რომ ღმერთისა და ქვეყნის სამსახური თავადსაც შეუძლია და გლეხსაც. ესეც დაიმასხოვრე: სატანა ერთნაირად ებრძვის მდიდარსაც და ღარიბსაც, სატანა ადამიანის ცდუნებას ესწრაფვის. დღეს სატანის მოციქულები ხალხს არწმუნებენ: ქვეყნის უბედურება მდიდრებად და ღარიბებად დაყოფაშიაო. სინამდვილეში ადამიანისა და ქვეყნის უბედურება ათი მცნების უარყოფით იწყება, იესოს სწავლების უარყოფით იწყება. გამიგე, შვილო იოსებ?

**იოსებ ჯუღაშვილი (თაუხალუნული):** გავიგე, მამაო!

**მამა იონა:** ახალი აღთქმა კარგად შეისწავლე! თუ რაიმე ვერ გაიგო, ჩემთან მოდი, ან აქ, ან ეკლესიაში, მე დაგეხმარები, წიგნებსაც მოგცემ. დაიმასხოვრე: სატანას არ სძინავს, დღე და ღამე სულ იმის ცდაშია, თუ როგორ დაუბნელოს გონება ადამიანს, როგორ დაიმონოს. აბა, გასწი, ისეც დიდხანს შეგაყოვნე (*იოსებ ჯუღაშვილი ხელზე ემთხვევა მამა იონას და გადის*).

## მეორე სცენა

თბილისი. გაზეთი „ივერიის“ რედაქცია. დრო: 1895 წლის ივნისი

*(რედაქტორის კაბინეტის წინ ხალხი ირევა. კუთხეში, ფანჯარასთან, დგას 16-17 წლის ახალგაზრდა. ფანჯრის რაფიდან მაღიმაღ აიღებს მოწაფის რეგულს, გადაშლის და რაღაცას ჩაიკითხავს, თან კარებისაკენ იყურება. დედავს. კარები იღება, შემოდის ილია ჭავჭავაძე, მიესალმება იქ მყოფთ. ოთახს თვალს მოავლებს, არავისზე არ შეაჩერებს მზერას, მხოლოდ კუთხეში, ფანჯარასთან მდგარ ახალგაზრდას დააკვირდება).*

**ილია ჭავჭავაძე (მდივანს):** გაზეთის ანაბეჭდები არ მოუტანიათ?

**მდივანი:** ნახევარ საათში იქნება მზადო!

**ილია ჭავჭავაძე (მდივანს):** როგორც კი ანაბეჭდებს მოიტანენ, მაშინვე შემომიტანეთ, ისეც გვიანდება ნომერი!

**მდივანი:** სამ საათზე ბანკში გელოდებიან, ბატონო ილია!

**ილია ჭავჭავაძე (ყურადღებას არ მიაქცევს მდივანის სიტყვებს):** ყმაწვილო! ვის ელოდები?

**ახალგაზრდა:** თქვენ გელოდებით, ბატონო ილია!

**ილია ჭავჭავაძე:** აბა, შემოდი!

*(ილია კაბინეტის კარებს შეადებს, ახალგაზრდა უკან მიჰყვება. ილია სავარძელში ჩაეშვება, ახალგაზრდასაც ანიშნებს დაჯექით).*

**ილია ჭავჭავაძე:** სადაური ხარ, ყმაწვილო, რა გქვია?

**ახალგაზრდა:** გორიდანა ვარ, იოსებ ჯულაშვილი.

**ილია ჭავჭავაძე:** სახელი ვინ დაგარქვა?

**იოსებ ჯულაშვილი:** გორის მიძინების ეკლესიის მღვდელმა, მამა სოლომონ ხახანაშვილმა.

**ილია ჭავჭავაძე:** კარგი სახელი დაურქმევია! მეც მღვდელმა დამარქვა ილია, მშობლებს თურმე სხვა სახელის დარქმევა უნდოდათ! თბილისში რას საქმიანობ?

**იოსებ ჯულაშვილი:** სასულიერო სემინარიაში ვსწავლობ, პირველი კლასი დავამთავრე.

**ილია ჭავჭავაძე:** ოჰო! როგორ სწავლობ?

**იოსებ ჯულაშვილი (დარიცხვენს):** გუშინ დავამთავრე გამოცდები...

**ილია ჭავჭავაძე:** მერე? თავი ხომ არ შეირცხვინე?

**იოსებ ჯულაშვილი (თავს ჩაღუნავს და ილიას ნიშნების ფურცელს გადასცემს):** აი, აქ წერია ყველაფერი!

**ილია ჭავჭავაძე (ფურცელს გამოართმევს და ხმამაღლა წაიკითხავს):** წმიდა წერილი – ფრიადი, ბერძნული ენა – ძალზე კარგი, სლავური საეკლესიო გალობა – ფრიადი, ქართული საეკლესიო გალობა – ფრიადი, სიტყვიერება – ფრიადი, სამოქალაქო ისტორია – ფრიადი, მათემატიკა – ფრიადი, ქართული ენა – ფრიადი, ყოფაქცევა – ფრიადი. აი, ყოჩაღ, ბიჭი ვარო შენ უნდა თქვა! შენისთანა ახალგაზრდები მინდა რომ შემოვიკრიბო „ივერიაში“. თუ სასულიერო სახით არ იმსახურებ, სწავლას რომ დაამთავრებ მოდი ჩემთან, სამსახურს მოგცემ. ჰო, სულ გადამავიწყდა, რა საქმე გქონდა ჩემთან, რისთვის მოხვედი?

**იოსებ ჯულაშვილი (დარიცხვენით):** ლექსი მოგიტანეთ!

**ილია ჭავჭავაძე:** აბა, აბა, მჩვენე, ერთი ვნახოთ, როგორი ლექსი დაწერე!

*(იოსებ ჯულაშვილი რვეულს გაუწვდის. ილია რვეულს გაშლის და ლექსს ხმამაღლა წაიკითხავს, წაიკითხავს მეორედაც. აღფრთოვანებას ვერ მალავს, სახე გაუბადრება. ადგება კაბინეტში გაივლის, კარგ ხასიათზეა. მაგიდასთან დაბრუნდება და ზარს დარეკავს, შემოვა მდივანი ქალი).*

**მდივანი:** რას მიბრძანებთ, ბატონო ილია!

**ილია ჭავჭავაძე:** ანაბეჭდები მოიტანეს?

**მდივანი:** ეს წუთია მოიტანეს, გელოდებიან.

**ილია ჭავჭავაძე:** სთხოვეთ!

*(კაბინეტში შემოდის ასოთამწყობი, ხელში „ივერიის“ ანაბეჭდები უჭირავს. ილია ანაბეჭდებს გამოართმევს).*

**ასოთამწყობი:** ბატონო ილია! მანქანა დაზიანდა, ორი საათი მოგუნდით შეკეთებას, ამიტომ დაგვიანდა ანაბეჭდების დამზადება.

**ილია ჭავჭავაძე (იღიმება):** თქვენი ბედი, რომ ერთი საათით მეც უნდა დაგაგვიანოთ!

**ასოთამწყობი:** რატომ?

**ილია ჭავჭავაძე:** პირველი გვერდი დაშალეთ, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, აი, ეს ლექსი უნდა დაიბეჭდოს (*რვეულს მესტამბეს გადასცემს. მესტამბე დაკვირვებით ჩააყოლებს თვალს რვეულის ფურცელს*). როგორ მოგწონთ?

**მესტამბე:** დიდებულა! ვინ არის ავტორი? ფსევდონიმი „ი. ჯ-შვილი“ პირველად მხვდება!

**ილია ჭავჭავაძე:** თავის დროზე გაიგებ, ახლა კი გაიქეცი, გაზეთი ისედაც გვიანდება! (*ახლოაძმწეობი გადის*).

**იოსებ ჯულაშვილი** (*ადგება, ილიას თვალეში შეხედავს*): ბატონო ილია! მე თქვენისთანა ადამიანი ჯერ არ შემხვედრია! დიდი მადლობა!

**ილია ჭავჭავაძე** (*იციინის*): მეც არ შემხვედრია შენისთანა ყმაწვილი. აბა, ნახვამდის (*ილია ჭავჭავაძე იოსებ ჯულაშვილს ხელს გაუწვდის. იოსებ ჯულაშვილი კიდევ ერთხელ შეხედავს თვალეში და ხელს გაუწვდის. იოსებ ჯულაშვილი გადის*).

### მესამე სცენა

თბილისი. სასულიერო სემინარია. აუდიტორიაში პირველ მერხზე ზის იოსებ ჯულაშვილი, მაგიდას უზის სემინარიის მასწავლებელი, დეკანოზი მამა იოანე. დრო: 1899 წლის მაისი

**იოსებ ჯულაშვილი:** მამა იოანე! გუშინაც ვიყავი თქვენს სანახავად, გეძებო, მითხრეს!

**მამა იოანე:** ჰო, გეძებდი, სასაუბრო მქონდა.

**იოსებ ჯულაშვილი:** რაზე უნდა ვისაუბროთ? მე სემინარიის მოწაფე აღარა ვარ, დღეს სემინარიის შენობაში ძლივს შემომიშვეს!

**მამა იოანე:** ჰო, ძალიან საწყენია, რაც მოხდა, მაგრამ ქრისტიანი სასოწარკვეთას არ უნდა მიეცეს. ყველაფერი უფლის ნებაა! არანაირი იმედი აღარ არსებობს, რომ სწავლას საეკლესიო საზინის ხარჯზე გააგრძელებ?

**იოსებ ჯულაშვილი:** არა, არანაირი იმედი! ის კი არა, 60 მანეთი ვალი დამადეს, წინა წლის სწავლების გადასახადი.

**მამა იოანე:** მშობლები, ნათესავები ვერ შეძლებენ ქირის გადახდას?

**იოსებ ჯულაშვილი:** დედა ვერ შეძლებს, მამა დიდი ხანია წასულია სახლიდან, არ გვეხმარება. მამას არც სურდა, მე რომ სწავლა გამეგრძელებინა.

**მამა იოანე:** იმედს ნუ დაკარგავ!

**იოსებ ჯულაშვილი:** დედა მეცოდება, დიდი სურვილი ჰქონდა სემინარია დამემთავრებინა, არ ვიცი, როგორ ვუთხრა, სემინარიიდან გამოვედი-თქო.

**მამა იოანე:** იქნებ გვეცადა, გორის მაზრაში რომელიმე ეკლესიისათვის დიაკვნად ხელდასხმა მიგელო. ამის უფლებას სასულიერო მასწავლებლების დამთავრების ატესტატიც გაძლევს და სემინარიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობაც. მეც ვთხოვ ეგზარქოსს.

**იოსებ ჯულაშვილი:** გამადლობთ, მამა იოანე! ჯერ ასეთი გადაწყვეტილებისათვის მზად არა ვარ. ვიფიქრებ და ჩემს პასუხს შეგატყობინებთ.

**მამა იოანე:** დიდხანს ნუ დააგვიანებ? ახლა რას აპირებ?

**ოსებ ჯულაშვილი:** სამი წლის წინ ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ რედაქციაში მუშაობა შემომთავაზა, ოღონდ იმ პირობით, თუ სემინარიას დავასრულებდი. ახლა მერიდება მისვლა, ისე არ მინდა გამომვიდეს, თითქოს მეხუთე კლასის სწავლის ქირის გადახდას ვთხოვ.

**მამა იოანე:** რატომ? „ივერიაში“ მუშაობისათვის სემინარიის სრული კურსის დასრულება სულაც არ არის საჭირო. აუცილებლად მიდი ილია ჭავჭავაძესთან. შენი ლექსები აუცილებლად ემახსოვრება, პირველ გვერდზე გიბეჭდავდა.

**ოსებ ჯულაშვილი:** მიმიძიშ, მამა იოანე, ილია ჭავჭავაძესთან მისვლა. არ მოვიქეცი მაშინ კარგად! ხუთი ლექსი დამიბეჭდა, მე კი ავდექი და „ივერია“ მივატოვე!

**მამა იოანე:** რაღა მნიშვნელობა აქვს ამის გარკვევას, მაგრამ მაინტერესებს: რატომ ჰქენი ეს?

**ოსებ ჯულაშვილი:** ახლა ვერ აგისხნით, დადგება დრო და ყველაფერს ნათელი მოეფინება, ყველაფერი ცხადი გახდება!

**მამა იოანე:** აგრე იყოს, შვილო! ადამიანი, ჩვენ რომ გვგონია, იმაზე გაცილებით რთული და ამოუცნობი არსებაა. მე არ მინდა, რომ შენისთანა ნიჭიერმა და იმედისმომცემმა ახალგაზრდამ თავისი ადგილი ვერ იპოვოს ცხოვრებაში, თავის ნიჭს სარბიელი ვერ მისცეს, ღმერთისა და ქვეყნის სამსახური ვერ შეძლოს.

**ოსებ ჯულაშვილი:** ქვეყანაში რას გულისხმობთ, მამა იოანე?

**მამა იოანე:** ქვეყანაში მე მუდამ საქართველოს გულისხმობ, ჩვენს ბედკრულ სამშობლოს!

**ოსებ ჯულაშვილი:** კიდევ გინახულებთ, მამა იოანე! (*ხელზე ემთხვევა და გადის*).

## მეოთხე სცენა

თბილისი. გაზეთ „ივერიის“ რედაქცია.

ილია ჭავჭავაძის კაბინეტი. სხედან: ილია ჭავჭავაძე და ოსებ ჯულაშვილი.

დრო: 1899 წლის დეკემბერი

**ილია ჭავჭავაძე:** სემინარიას რატომ დაანებე თავი? ვინმემ გაწყენინა რაიმე? ვინმემ ხომ არ დაგნაგრა?

**ოსებ ჯულაშვილი:** სწავლის ქირა ვეღარ გადავიხადე, შარშანდელიც, მეოთხე კლასისა, ნაწილი გადაუხდელი დამრჩა! დედა მყავს მხოლოდ, ხელსაქმით ირჩენს თავს, ფული მუდამ გვიჭირდა!

**ილია ჭავჭავაძე:** მამა?

**ოსებ ჯულაშვილი:** დიდი ხანია წავიდა სახლიდან, თბილისშია, აღარ მოგვხვდა!

**ილია ჭავჭავაძე:** მამას ნუ განსჯი, ეტყობა პურის ფულსაც ვეღარ შოულობს, თბილისში ძნელია ფულის შოვნა!

**ოსებ ჯულაშვილი:** დედასაც უჭირს, მაგრამ მე არ მივეუტოვებოვარ, გორის სასულიერო სასწავლებელი დამამთავრებინა, სემინარიაშიც შემიყვანა! დედამ კიდევ რომ აპატიოს, მე ვერ ვაპატიებ... არა ჩემს მიტოვებას, არამედ დედის მიტოვებას! დედა იმ დღიდან თავდახრილი დადის, ყველა აგლებით უყურებს!

**ილია ჭავჭავაძე:** შენი საქმეა, მე ამაში ვერ ჩავერევი. მე შვილი არ მომცა ღმერთმა, საკუთარ თავზე არ გამომიციდია მამობრივი გრძნობა!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ბატონო ილია! რისთვის დამიბარეთ? მითხრეს, ორი კვირაა გეძებსო.

**ილია ჭავჭავაძე:** სამი წელია ვფიქრობ ამაზე, დიდ და სერიოზულ საქმეზე მინდა ვისაუბროთ.

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ვისაუბროთ?!

**ილია ჭავჭავაძე:** დიახ, ვისაუბროთ! ამ შემთხვევაში ასაკსა და მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს. ვისაუბროთ, მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი. ერთადერთი პირობა უნდა ჰქონდეს ჩვენს საუბარს – გულახდილობა. იყოს ასე?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** იყოს ასე!

**ილია ჭავჭავაძე:** ხომ არაფერი შეგვიშლის ხელს? აბა, დაფიქრდი!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** არა!

**ილია ჭავჭავაძე:** საცაა ორმოცი წელი შესრულებდა, რაც ჩვენი ბედკრული სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ვიბრძვი: ყველაფერი სამშობლოს შეგწირე. მე შემეძლო მშვიდი ცხოვრება მქონოდა, ფულიც მქონოდა და თბილი ადგილიც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში, ან სხვაგან, რუსეთშიც კი.

**ოსსებ ჯუღაშვილი:** თქვენ ღვაწლს, თქვენი მტრებიც კი არ უარყოფენ, უფრო ზუსტად, ვერ უარყოფენ!

**ილია ჭავჭავაძე:** როცა მოღვაწეობას ვიწყებდი, მეგონა თანამოაზრეები გამიმრავლდებოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით: ყველაზე ღირსეულები ჩამომშორდნენ, ზოგი მტრადაც მომეკიდა.

**ოსსებ ჯუღაშვილი:** თქვენისთანა ადამიანს ეს არ უნდა უკვირდეს. კაცობრიობის ისტორია ერთ რაიმეს უეჭველად ამტკიცებს: ადამიანების არსებობის წესი უზნეობაა, უმადურება უზნეობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, ღალატიც.

**ილია ჭავჭავაძე:** ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა საუბარმა თავიდანვე გულახდილი ხასიათი მიიღო!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ტყუილი და პირფერობაც უზნეობის გამოვლინებაა!

**ილია ჭავჭავაძე:** ეს კითხვა მინდოდა ბოლოს დამესვა, მაგრამ გააკადნიერდები და ახლავე გკითხავთ: რას წარმოვადგენ მე საქართველოს ისტორიაში, ვინა ვარ მე ქართველი ერისათვის?

**ოსსებ ჯუღაშვილი (თავს დახრის, რამდენიმე წუთს ფიქრობს):** ებრაელთა მამამთავარი მოსე! მოსეს მსგავსად, თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, ქართველი ერი აღთქმულ ქვეყანაში რომ შეგეყვანათ, მაგრამ ვერ შეიყვანეთ, ვერც შეიყვანდით! ქართველ ერს თქვენ აღთქმული ქვეყნის კარიბჭესთან დატოვებთ. ისევე, როგორც მოსეს, აღარც თქვენ გისმენენ!

**ილია ჭავჭავაძე (გაოგნებული):** მაშ, ჩემი მისია ამოიწურა?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** დიახ, ამოიწურა! ქართველი ერი ჯერჯერობით არ არის ღირსი შევიდეს აღთქმულ ქვეყანაში!

**ილია ჭავჭავაძე:** დიდი ხანი ფიქრობდი, ხანამ ამ დასკვნას გააკეთებდი?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** იმ დღიდან, „ივერიის“ რედაქციაში რომ მოვედი, პირველად რომ გნახეთ.

**ილია ჭავჭავაძე:** მეტყობით ყოველივე ამას მე რომ არ დამეხარებინეთ?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** არა!

**ილია ჭავჭავაძე:** რატომ?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** გულახდილად გითხრათ?

**ილია ჭავჭავაძე:** ხომ შევთანხმდით?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** არ მოვიდოდი და არ გეტყობით იმიტომ, რომ ყოველივე ეს თქვენც კარგად იცით, ბატონო ილია!

**ილია ჭავჭავაძე (გაოგნებული):** ჩემს თანამოაზრეებში შენნაირი ნიჭიერი არავინ ყოფილა. იქნებ ეს არის საქართველოს ტრაგედია!

**ოსებ ჯუღაშვილი:** ნიჭი და ზნეობა სხვადასხვა რამაა, ერთ ადამიანში მათი ერთად არსებობა იშვიათია!

**ილია ჭავჭავაძე:** განვაგრძოთ. ცუდი დრო დგება; შეიძლება ისე მოხდეს, რასაც ორმოცწლიანი ბრძოლით მივაღწიეთ, წყალში ჩაიყაროს, ქარმა წაიღოს!

**ოსებ ჯუღაშვილი:** წყალში არაფერი ჩაიყრება, ქარიც ვერაფერს წაიღებს. ასე მხოლოდ გამოჩნდება, მოეჩვენებათ და ისიც დროებით. ის, ვინც თქვენს შემდეგ მოვა, თქვენზე გაცილებით სუსტია და რასაც ის მოიტანს, იმაზე გაცილებით ნაკლებად ღირებული იქნება, რაც თქვენ შექმენით!

**ილია ჭავჭავაძე:** შენ ისიც გეცოდინება, რა ჰქვია იმ რაღაცას?

**ოსებ ჯუღაშვილი:** კოსმოპოლიტიზმი – ენის, ეროვნების, ეროვნული გრძნობის, სახელმწიფოს, ეკლესიის უარყოფა.

**ილია ჭავჭავაძე:** დიდხანს ვფიქრობდი, ბევრჯერ გადავიფიქრე შენთან შეხვედრია, მგონი, არც დღეს უნდა შეგხვედროდი!

**ოსებ ჯუღაშვილი:** თქვენის ნებართვით მე წავალ, ბატონო ილია! (აღგება).

**ილია ჭავჭავაძე:** დაბრძანდით, ამდენ საფიქრალთან მარტო მტოვებთ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** მეშინია, ჩვენმა საუბარმა შეიძლება არაგულწრფელი ხასიათი მიიღოს.

**ილია ჭავჭავაძე:** ეს უკვე შეუძლებელია. ჩვენ ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით!

**ოსებ ჯუღაშვილი (დაჯდება):** გისმენთ!

**ილია ჭავჭავაძე:** ვინ არის ის ხალხი, ვისაც ეს საშინელება მოაქვს?

**ოსებ ჯუღაშვილი:** უზნეო ხალხია, თავის თავზე გაბოროტებული, საშიში ხალხია, უპერსპექტივო, მაგრამ საშიში. არა ენა, არა ეროვნება, არა რელიგია, არა სახელმწიფო – ესაა მათი იდეალი.

**ილია ჭავჭავაძე:** ვინ მართავს ამ ხალხს? ვინ დგას მათ უკან? რა მიზანი ამოძრავებთ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** დიდი იმპერიები, კონკრეტულად – გერმანია, ინგლისი, რუსეთი. კიდევ მოიძებნება ერთი-ორი.

**ილია ჭავჭავაძე:** რას ვუშავებთ მათ, აი, მაგალითად, ჩვენ, ქართველები? ადარც სახელმწიფო გვაქვს, ადარც ეკლესია, ენას ძლივს ვინარჩუნებთ!

**ოსებ ჯუღაშვილი:** აი, ყოველივე ეს რომ გვექნება, შემდეგ გავხდებით მათთვის საშიში!

**ილია ჭავჭავაძე:** რა უნდა დავუშავოთ ამოდენა იმპერიებს ან ახლა, ან შემდეგ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** ყოველი დიდი, მრავალეროვანი იმპერიის მესვეურები ასე ფიქრობენ: იმპერიებს რიცხვით მცირე ერების ბრძოლა დაანგრევსო.

**ილია ჭავჭავაძე:** მერე!

**ოსებ ჯუღაშვილი:** მერე ის, რომ, მათი აზრით, სანამ ეს მოხდებოდეს ეს ერები ან უნდა გადაგვარდნენ, ან უნდა მოისპონ. მოსპობა გაცილებით ძნელია, გადაგვარება – შედარებით ადვილი.

**ილია ჭავჭავაძე:** არა მგონია, ამ იდეას მომავალი ჰქონდეს!

**ოსებ ჯუღაშვილი:** არც მე!

**ილია ჭავჭავაძე (გაოცებული):** რატომ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** დიდი იმპერიების სათავეში ერთთავად უნიჭო ხალხია, უზნეო და უნიჭო. ამ იმპერიებს სულ მალე რიცხვით მცირე ერების ბრძოლა კი არა, სხვა რამ დაანგრევს. ამ საფრთხეს კი ისინი ვერ ხედავენ.

**ილია ჭავჭავაძე:** რა არის ის სხვა რამ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** ეროვნული მოძრაობის მოსასპობად, მის საპირისპიროდ სოციალისტური იდეები მოიგონეს. ეს სოციალისტური მოძრაობა ისეთი რამაა, რომ რიცხვით მცირე ერებზე და ეროვნულ მოძრაობაზე უწინარეს დიდ იმპერიებს ის მოუღებს ბოლოს. რიცხვით მცირე ერებს რომ ხაფანგს უგებენ, დიდი იმპერიები თავად გაებმებიან იმ ხაფანგში. რუსეთის იმპერიას ვერასდროს დაანგრევენ ქართველები ან სომხები, ისევე, როგორც ავსტრია-უნგრეთის იმპერიას – სერბები, ან გერმანიას – პოლონელები. ამ იმპერიებს კოსმოპოლიტიზმით დაავადებული ავსტრიელები, გერმანელები და რუსები დაანგრევენ.

**ილია ჭავჭავაძე:** რა დრო დასჭირდება ყოველივე ამას?

**ოსებ ჯუღაშვილი (იციხის):** ეს იმაზე დამოკიდებული, დიდი იმპერიების სათავეში ერთბაშად რამდენი უზნეო და უნიჭო მოიყრის თავს.

**ილია ჭავჭავაძე:** დაეუშვათ, რომ სწორად აზროვნებ, ვთქვათ, დაინგრა დიდი იმპერიები, შემდეგ რა იქნება?

**ოსებ ჯუღაშვილი:** არ დაიჯერებთ, რასაც ახლა გეტყვით.

**ილია ჭავჭავაძე:** გისმენთ!

**ოსებ ჯუღაშვილი:** შემდეგ ქართველ ერს გაახსენდება ის, ვინც უარყო, ვინც ჯვარს აცვა.

**ილია ჭავჭავაძე:** ვინ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** ილია ჭავჭავაძე!

**ილია ჭავჭავაძე (სკამიდან წამოიჭრება, ოთახში გაივლის):** ესე იგი, ჯვარცმა გარდაუვალია!

**ოსებ ჯუღაშვილი:** გარდაუვალია. თუ ჯვარცმა არ მოხდა, აღდგომაც არ მოხდება! ვერ ხვდებით, თუ რატომ ჩამოგშორდნენ ძველი თანამოაზრეები?

**ილია ჭავჭავაძე:** რატომ?

**ოსებ ჯუღაშვილი:** მათ ჯვარცმის შეეშინდათ! თუ თქვენ შეგეშინდათ, აღდგომის დღეც არ დადგება? ეს ასე იქნება გერმანიაშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც, ყველგან.

**ილია ჭავჭავაძე:** ახლა ის კითხვა უნდა დაგისვათ, რისთვისაც მოგიწვიეთ: მე მარტო დავრჩი, იქნები ჩემთან?

**ოსებ ჯუღაშვილი:** არა! თქვენ თქვენი მისია ამოწურეთ, რაც დავრჩათ, ისიც მარტომ უნდა აღასრულოთ. მე თქვენს შემდეგ მოვალ, მე ჩემი მისია მაქვს!

**ილია ჭავჭავაძე:** რა მისია?

**ოსებ ჯუღაშვილი:** დიდი იმპერიები უნდა დაინგრეს! ამას კი ნიჭიერი და უზნეო ხალხი სჭირდება!

**ილია ჭავჭავაძე:** წადი ოსებ! წადი და დაიმახსოვრე: რევოლუცია დაღუ პავს საქართველოს, უამრავი ქართველის სისხლი დაღვრება, ეს სისხლი ისევ ქართველის ხელით დაიღვრება! დაიმახსოვრე: რევოლუცია მხოლოდ რიცხვითი მრავალი ერებისა და დიდი სახელმწიფოების საქმეს გააკეთებს, შენც ტყუილად გგონია, რომ შენს სამშობლოს გაუწევ სამსახურს, ამას გვიან მიხვდები და ჩვენი საუბარიც გაგახსენდება. გონიერი ქართველები ბევრჯერ გამოიყენეს ირანის შაჰებმა, ოსმალეთის სულთანებმა, რუსეთის იმპერატორებმა. მათ სამშობლოს ვერა არგეს რა,

სიცოცხლე დიდი იმპერიების ძლ იერებას შეწირეს. წადი და დაიმახსოვრე: ეგ არ არის საქართველოს ხსნის გზა! ეგ სატანის გზაა! (იოსებ ჯულაშვილი გადის).

**ილია ჭავჭავაძე** (მარტო დარჩება. აღგება, ფანჯარასთან მივა, ოთახში გაივლ-გამოვივლის, შეჩერდება): ეს სემინარიელი ამას ვერსად ამოიკითხავდა, ვერც ვერავინ ეტყოდა, თავად მოიფიქრა ეს ყველაფერი. ცუდი დრო დგება, ძალიან ცუდი დრო. უზნეო ადამიანების დრო დგება. უზნეოებში რაც მეტი ნიჭიერი გამოერევა, მით უარესი! (ფიქრს მიეცემა).

## მეხუთე სცენა

თბილისი. სოლოლაკი. თავადის ქალის ანასტასიას სალონი. მდიდრულად მორთულ დარბაზში სავარძლებში მოუკალათებიათ ანასტასიასა და მის მეგობარ ქალებს: სოფიოს, ანას, მაიას და ნუცას. დივანზე სხედან ანასტასიას მამა გარსევანი და დედა სალომე. დრო 1905 წლის ოქტომბერი. (გლოდებიან იოსებ ჯულაშვილს, რომელიც საგანგებოდ მოიწვიეს სალონში ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა).

**ანასტასია:** დამპირდა, საღამოს ცხრა საათზე გეახლებითო. ახლა ცხრას ათი წუთი აკლია. მე ძალიან ველეაფ!

**თავადი გარსევანი:** თავს რად იტკიებდი, შვილო, რად გინდოდა სოციალისტის მოწვევა! თუ მაინცადამაინც, ნოე ჟორდანიას მოგეწვია.

**ანასტასია:** ნოე ჟორდანიამ სასტიკი უარით გამოგვისტუმრა, სალონი ფუქსავატმა ბურჟუებმა მოიგონეს და მე იქ არაფერი მესაქმებო!

**სალომე:** იოსებ ჯულაშვილი ადვილად დაითანხმე?

**ანასტასია:** მე არ შევხვედრილვარ. მისმა სემინარიელმა ამხანაგმა გადასცა ჩვენი თხოვნა და თანხმობაც მისივე პირით შემოგვითვალა.

**თავადი გარსევანი:** ვნახოთ, ვნახოთ, რას გვიპირებენ სოციალისტები!

**სოფიო:** ნეტავ როგორი ჩაცმული მოვა. ალბათ, გრძელი შავი ქურთუკი ეცმება, შარვალი გრძელყელიან ჩექმებში ექნება ჩატანებული, ჯიბეები კი – პროკლამაციებით სავსე.

**მაია** (სიცილით): ალბათ, ბომბსაც მოიტანს და, თუ ყველაფერში არ დავეთანხმეთ, აგვაფეთქებს!

(დარბაზში შემოდის მოსამსახურე და ანასტასიას წასჩურჩულებს: მოვიდა!)

**ანასტასია:** სთხოვეთ!

(დარბაზში შემოდის იოსებ ჯულაშვილი. შავი ფერის პიჯაკი და შარვალი აცვია, წერილცხვირიანი შიბლეტებიდან თეთრი წინდები მოუჩანს, თეთრ პერანგზე შავი ფერის ბაფთა უკეთია. ხელში თაიგული უჭირავს. ყველას ხმა ჩაუწყდება, ფეხზე მდგომნი დაბნეულნი მისჩერებიან ერთმანეთს).

**იოსებ ჯულაშვილი:** საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო, მოგესალმებით, ბატონო გარსევანი! ქალბატონო ანასტასია! (ნაბიჯს გადაადგამს ანასტასიასკენ და თაიგულს გაუწვდის).

**ანასტასია** (დაბნეული): გმადლობთ!

თავადი გარსევანი: დაბრძანდით, ფეხზე როდემდე იდგებით? მე და ჩემი მეუღლე დაგტოვებთ, ახალგაზრდებმა ისაუბრეთ (*ყველანი დასხდებიან*).

იოსებ ჯულაშივილი: ბატონო გარსევან! აქ რომ არ დამხვედროდით, მე უნდა მეთხოვა ქალბატონი ანასტასიასათვის თქვენი მოწვევა. მე თქვენ მადლობა უნდა გადაგიხადოთ, მადლობა, რომელიც ათი წლის წინ უნდა გადამეხადა.

**თავადი გარსევანი** (*გაოცებას ვერ მალავს*): რისთვის უნდა გადაგეხადათ მადლობა?

**იოსებ ჯულაშივილი**: 1895 წელს რაფიელ ერისთავის იუბილეზე მე წავიკითხე პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი „თავად რაფიელ ერისთავს“. თქვენ ლექსი ძალიან მოგეწონათ, შემაქეთ. მაშინ მადლობა ვერ გითხარით.

**თავადი გარსევანი** (*აღტაცებას ვერ მალავს*): აი, თურმე საიდან მახსოვს თქვენი სახე! ესე იგი სოსელი თქვენა ხართ?

**იოსებ ჯულაშივილი**: დიას, მე გახლავართ!

თავადი გარსევანი: სიამოვნებით დავრჩებით მეც და ჩემი მეუღლეც!

(*ანასტასია და მისი მეგობრები დაბნეულები არიან, არ იციან, რა მოიმოქმედონ. დაწყობილი გეგმები ჩაეშალათ, სოციალისტი ვერ გააბიაბურეს. ისევ ანამ აჯობა ყველას*).

**ანა**: პოეტი სოციალისტი როგორ გახდით?

**იოსებ ჯულაშივილი**: პოეტობა პროფესია არაა, პოეტობა მოწოდებაა. პოეტი შეიძლება იყოს ექიმიც, ინჟინერიც, მუშაც და გლეხიც.

**ანა**: სოციალისტი თუ შეიძლება იყოს პოეტი?

**იოსებ ჯულაშივილი**: ცხადია, შეიძლება იყოს, თუ ასეთი მოწოდება აქვს.

**ნუცა**: არ გეშინიათ? მარტო წელს რამდენი სოციალისტი მოკლეს, რამდენი კატორღაში გაგზავნეს.

**იოსებ ჯულაშივილი**: სიკვდილის შიშმა ადამიანი შეიძლება ცხოველად აქციოს. პირველი გამარჯვება, რომელიც ადამიანმა უნდა მოიპოვოს, ესაა სიკვდილის შიშზე გამარჯვება.

**ნუცა**: მაგრამ წამების, ფიზიკური ტკივილის ატანა ყველას ხომ არ შეუძლია?

**იოსებ ჯულაშივილი**: სიკვდილის შიშის დაძლევა და წამების დათმენა სხვადასხვაა. პირველი სულთანაა დაკავშირებული, მეორე – ხორცთან.

**თავადი გარსევანი**: მოდით თავი დავეანებოთ ამ ზოგად მსჯელობას და კონკრეტულ საკითხებზე გადავიდეთ. თანახმა ხართ ყველანი?

**ანასტასია**: ასე აჯობებს, მამა სწორს ბრძანებს!

**თავადი გარსევანი**: ბატონო იოსებ!

**იოსებ ჯულაშივილი** (*აწვევებინებს*): უკაცრავად, ბატონო გარსევან! სახელით მომმართეთ, „ბატონოს“ გარეშე!

**თავადი გარსევანი**: კეთილი. იოსებ! რა ხდება ქვეყანაზე, ან რუსეთში ან საქართველოში, საით მივდივართ, რა გველის?

**იოსებ ჯულაშივილი**: ის, რაც რუსეთში ხდება, დიდი ხანია მზადდებოდა. რუსეთის ძლიერებას საფუძველი დაუდო ორმა დიდმა ხელმწიფემ – პეტრე I და ეკატერინე II. XIX საუკუნის იმპერატორები ერთმანეთზე უნიჭოები, გაუბედავები და ლაჩრები აღმოჩნდნენ. ალექსანდრე I ევროპის აწეწილ საქმეებს აწესრიგებდა და მეფობის ბოლოს დეკაბრისტების ამბოხი მიიღო. ნიკოლოზ I ამტკიცებდა, სახელმწიფოს სული და გული, ძლიერების საფუძველი არმიასო, მაგრამ

მეფობის ბოლოს სამარცხვინოდ წააგო ყირიმის ომი. ალექსანდრე II-ის ყველა რეფორმა სანახევრო და კულშეკვეცილი აღმოჩნდა, რუსეთს დიდი აღმავლობა ვერ მოუტანა. ალექსანდრე III ყველაზე დიდი გაუგებრობა იყო XIX საუკუნის იმპერატორთა შორის. უღირსთა და უნიჭოთა მეფობა დაავიწროვებინა ნიკოლოზ II. ეს ადამიანი რუსეთის ბედისწერაა. რუსეთის იაპონიასთან ომში ჩაბმით ნიკოლოზ II დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დაღუპოს რუსეთი. კიდევ ერთ ასეთ ომს რუსეთი ვეღარ გადაიტანს. დღეს ვერავინ იტყვის ვინ მართავს რუსეთს: მეფე, მეფის ბიძები, მეფის დედა თუ დედოფალი. უკვე საუკუნეზე მეტია რუსი იმპერატორები ევროპის, პირველ რიგში ინგლისის, საქმეს აკეთებენ, ევროპა კი წარმატებით ახორციელებს რუსეთის დასუსტების, დაუძღურების გეგმას. ის, რაც 1905 წლის იანვრიდან რუსეთში ხდება, შეიძლება მხოლოდ უპატრონო ქვეყანაში მოხდეს. ასეთი უნიჭო იმპერატორი, ასეთი უსუსური პოლიტიკური ელიტა რუსეთს კი არა, ერთ ქალაქ-სახელმწიფოსაც ვერ მართავს. ამიტომაც, რომ ქაოსს დასასრული არ უჩანს, უფრო მეტიც: რუსეთი კიდევ უფრო დიდი ქაოსისაკენ მიექანება. იმპერიას დიდი დღე არ უწერია!

**თავადი გარსევანი:** საქართველოს რა ეშველება, ქართველობას რაღას უმზადებთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როდის აღესრულება რუსეთის იმპერია, რა მდგომარეობა შეიქმნება რუსეთში და საერთოდ, ევროპაში, აზიაშიც.

**თავადი გარსევანი:** დავუშვათ და დაინგრა რუსეთის იმპერია, რა იქნება ამის შემდეგ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** იმპერიის დანგრევის შემდეგ ამ უზარმაზარ სივრცეს ევროპის დიდი ქვეყნები დაეპატრონებიან, ან უშუალოდ, ან იმპერიის ნანგრევებზე ანტირუსული ნაციონალური სახელმწიფოების შექმნის გზით. ეს ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელი გზაა, თუმცა იგი საშიშროებასაც შეიცავს. ევროპამ კავკასიაში ოსმალეთის აგრესიის აღკვეთა უნდა შესძლოს და შესძლებს ალბათ კიდევ. არის მეორე, ჩვენთვის მიუღებელი, გზაც. არ არის გამორიცხული, თვით რუსეთში გამოჩნდეს ძალა, რომელიც ევროპას წინ აღუდგება და რომანოვების იმპერიის ნანგრევებზე ახალ სახელმწიფოს შექმნის. საქართველო, სამწუხაროდ, ამ სახელმწიფოს საზღვრებში მოხვდება.

**სალამე:** ძალიან კი შეგვაშინე, შვილო იოსებ!

**იოსებ ჯუღაშვილი (იცინის):** ნუ შეშინდებით, ქალბატონო! რუსეთის იმპერია ხვალ არ აღესრულება და ის, რისაც თქვენ გეშინიათ, არც ისე მალე იქნება.

**სალამე:** ღმერთმა გისმინოთ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჩემი წასვლის დრო მოვიდა, უნდა დაგემშვიდობოთ.

**ანასტასია:** ჩაიხე უარს გვეუბნებით?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ამჯერად უარს გვეუბნებით, სხვა დროს უკვე აღარ გეტყვით უარს. სასაუბრო ბევრი გვექნება იმპერიის აღსასრულამდეც და შემდგომაც (*იოსებ ჯუღაშვილი მანდილოსნებს ხელზე ემთხვევა, თავადს ხელს ჩამოართმევს და გადის. ანასტასია გააცილებს*).

## მექვსე სცენა

თბილისი. ილია ჭავჭავაძის სახლი ანდრიას ქუჩაზე. სამუშაო კაბინეტში მაგიდასთან ზის ილია ჭავჭავაძე და კითხულობს. დრო: 1905 წლის ნოემბერი

*(შემოდის მოსამსახურე. ილია თავს აიღებს)*

**მოსამსახურე:** ბატონო ილია! ვიდაც მამაკაცი გკითხულობთ, ვინაობას არ ასახელებს. იაკობი სახელში არ უშვებს. ის კი ამბობს: ბატონი ილია მელოდებო.

**ილია ჭავჭავაძე:** თხოვეთ!

*(კაბინეტში შემოდის იოსებ ჯუღაშვილი, ილია წამოდგება, ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს. ილია სკამზე ანიშნებს, თავადაც დაჯდება).*

**იოსებ ჯუღაშვილი:** ბატონო ილია! დიდი ბოდიში, რომ გალოდინეთ, დღეს ჩემი აქ მოსვლა არ შეიძლებოდა!

**ილია ჭავჭავაძე:** მეგონა აღარ მოხვიდოდით. თუ არ მეშლება, ეს ჩვენი მესამე შეხვედრაა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასეა, მესამე შეხვედრაა.

**ილია ჭავჭავაძე:** სამწუხაროდ, მოხდა ის, რისიც ასე ძალიან მეშინოდა! გახსოვთ, ჩვენი მეორე შეხვედრისას ვისაუბრეთ ამ საშიშროების შესახებ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ძალიან კარგად!

**ილია ჭავჭავაძე:** მინდოდა მთელი ერის, ძირითადი ნაწილის მაინც, გამაერთიანებელი პოლიტიკური პარტია შეემქმნა, ვიფიქრე, რევოლუციას, დაპირისპირებასა და ხოცვა-ჟლეტას შეეჩერებოდა-მეთქი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** უკვე გვიანაა, ამ პროცესს აწი ვერაფერი შეაჩერებს, იგი ბოლომდე უნდა მივიდეს!

**ილია ჭავჭავაძე:** ესე იგი სისხლი, კიდევ ბევრი სისხლი უნდა დაიდვაროს?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასეა, უნდა დაიდვაროს. ყოველივე ამაში, ბატონო ილია, ნურავის დაადანაშაულებთ, ნურც სოციალისტებს.

**ილია ჭავჭავაძე:** მაშ, ვინაა დამნაშავე? ასე გულხელდაკრეფილი ვიყოთ და ვუყუროთ, ძმა ძმის სისხლს როგორ ღვრის?

**იოსებ ჯუღაშვილი:** სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ!

**ილია ჭავჭავაძე:** ისტორიის წინაშე ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ახლა საქართველოში და, საერთოდ, რუსეთში ხდება?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მოპასუხე ერთია – რუსეთის ხელისუფლება, იმპერატორი და მისი მთავრობა!

**ილია ჭავჭავაძე:** ეს ბევრჯერ მსმენია, ყველა სოციალისტი ამას გაჰკვივს! თქვენ, სოციალისტები, არ იზიარებთ პასუხისმგებლობას?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ბატონო ილია! თქვენი წერილებიდან, ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ რომ ბეჭდავდით, აშკარა იყო, რომ თქვენ შესანიშნავად იცნობთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას. თქვენეულ ანალიზსა და შეფასებას მე ვერას დაეუმატებდი, მაგრამ შეგხედოთ საქმეს სხვა კუთხიდან. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური პარტიები რუსეთის სოციალისტურ პარტიებზე გაცილებით ძლიერია, მაგრამ ვერცერთ ქვეყანაში სოციალისტურმა პარტიებმა რევოლუცია ვერ წამოიწყეს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლება ყველა სოციალურ პრობლემას იმაზე გაცილებით ადრე გადაჭრის ხოლმე, ვიდრე პოლიტიკური პარტიები, მათ შორის, სოციალისტები, ამ პრობლემას ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ასაჯანყებლად გამოიყენებდნენ.

**ილია ჭავჭავაძე:** ეს გასაგებია, ოტო ფონ ბისმარკი იყო ასეთი პოლიტიკის დიდოსტატი, ასევე ინგლისელები.

**იოსებ ჯუღაშვილი:** რუსეთის მთავრობას კი 1861 წლის შემდეგ არცერთი მწვავე სოციალური საკითხი არ მოუგვარებია, არაფერზე არ უზრუნია. ამასთან ერთად, რუსეთი ჩაება მისთვის სრულიად არაფრისმომცემ, უაზრო ომში იაპონიასთან და დამარცხდა კიდევ. თავისი სულელური და უაზრო საშინაო და საგარეო პოლიტიკით რუსეთის ხელისუფლებამ სოციალისტებს მრევლი გაუმრავლა და მიიღო კიდევ რევოლუცია. ამიტომ მოგახსენეთ, პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე რუსეთის ხელისუფლებას დაეკისრება-მეთქი.

**ილია ჭავჭავაძე:** თქვენს წილ პასუხისმგებლობაზე რას იტყვით? რაც ხდება, ყველაფერი ხალხის შეგნებაში სოციალისტებს უკავშირდება!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ბატონო ილია! პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები შეიძლება იყვნენ უპასუხისმგებლონი, მაგრამ იმპერატორი, სახელმწიფო საბჭო, მთავრობა არ შეიძლება იყოს უპასუხისმგებლო. დამერწმუნეთ, მე კარგად ვიცი, როგორ დაიწყო ყოველივე ეს, სად და როგორ იგეგმებოდა ის, რაც დღეს ხდება. ხელისუფლების სრული უსუსურობა რომ არა, რევოლუციის თავიდან აცილება შეიძლებოდა!

**ილია ჭავჭავაძე:** ვერ დაგეთანხმები! მე პირიქით მგონია!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ბატონო ილია! როგორც ჩანს, ამ რევოლუციას რუსეთის ხელისუფლება გაუმკლავდება, მაგრამ დაიმახსოვრეთ: ათ წელიწადში მთავრობა თავისი უგუნური პოლიტიკით უარეს დღეში ჩააგდებს ქვეყანას, უარესი ამბებია მოსალოდნელი.

**ილია ჭავჭავაძე:** კარგი! მე სხვა საკითხზე სასაუბროდ მოგიწვიეთ. პირდაპირ გკითხავთ: რატომ ეწინააღმდეგებით სოციალ-დემოკრატები საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას. არ დაგიმაღლავთ, სხვებთანაც მქონდა ამ საკითხის თაობაზე საუბარი, მაგრამ ზოგადი, უაზრო ფრაზების გარდა ვერაფერი მოვისმინე!

**იოსებ ჯუღაშვილი:** რასაც ახლა მე გეტყვით, ყველა სოციალისტმა კარგად იცის, ოღონდ თქვენ ამას პირდაპირ არ გეტყოდნენ. რუსეთის იმპერატორმა რომ იმპერიაში შემავალ ერებს, ყველას არა, ნაწილს, ავტონომია უბოძოს, ეკლესიის საკითხიც გადაუჭრას, ამით ჩვენ, სოციალისტებს, დიდ დარტყმას მოგვაყენებს, დაგვაუძღურებს. იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერები კეთილად განწყობიან იმპერიის ხელისუფლებისადმი. ხალხისა და ხელისუფლების ერთობა ჩვენთვის, სოციალისტებისათვის, კატასტროფის ტოლფასია. ჩვენი მიზანია დაპირისპირების შენარჩუნება და გაძლიერება, ხელისუფლების დისკრედიტაცია. აი, ამიტომ არ გვინდა ჩვენ საქართველოს ავტონომია და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

**ილია ჭავჭავაძე:** მიუხედავად ამისა, მე მაინც ვაპირებ ვიბრძოლო საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის, მხარი დავუჭირო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ცხადია, სოციალ-დემოკრატები დიდ წინააღმდეგობას გამოიწვიენ, თქვენ ამას არც მაღავთ!

**იოსებ ჯუღაშვილი (იღიმება):** ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ გულახდილად ვისაუბრებდით!

**ილია ჭავჭავაძე (იციინის):** ეს დიდი ხნის წინ იყო! უფრო ადრე ჩვენ შევთანხმდით, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ „ივერიაში“ მოხვიდოდით სამუშაოდ!

**იოსებ ჯუღაშვილი (იღიმება):** არ შევთანხმებულვართ, თქვენ ბრძანეთ და მე გავიგონე.

**ილია ჭავჭავაძე:** მაშ, მთელი სოციალ-დემოკრატია ჩემს წინააღმდეგ დაირაზმება?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასე იქნება! თუმიცა ჩვენ დიდი თავისგამოდება არ დაგვჭირდება.

**ილია ჭავჭავაძე:** რატომ? ასე უძლური ვარ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** არა, პირიქით, თქვენ დიდი ძალა გაქვთ. ძველ დროზე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ინგლისის ბოლო ათი პრემიერ-მინისტრიდან თქვენ ვერც ერთი კოჭებამდეც ვერ მოგწვდებოდათ. რუსეთის იმპერია კი ისე დაასრულებს არსებობას, რომ თქვენნაირი გონიერი ადამიანის პრემიერ-მინისტრობას ვერ ეღივებდა!

**ილია ჭავჭავაძე:** ხომ არ აჭარბებთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** არა!

**ილია ჭავჭავაძე:** თქვენ რუსეთის იმპერიას უკვე გამოუტანეთ განაჩენი, არც ამ შემთხვევაში აჭარბებთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** არა!

**ილია ჭავჭავაძე:** ჰო, რაზე შეეჩერდით?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ავტონომიის საკითხის მოგვარება თქვენს შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული-მეთქი.

**ილია ჭავჭავაძე:** აბა, რაზეა დამოკიდებული?

**იოსებ ჯუღაშვილი:** იმპერიის ხელისუფლება არც ავტონომიას გიბოძებთ და არც ავტოკეფალიას. სოციალისტების გასაკეთებელს ამჯერადაც უნიჭო იმპერატორი და მისი უსუსური მთავრობა გააკეთებს!

**ილია ჭავჭავაძე:** დარწმუნებული ხართ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** დარწმუნებული ვარ! თუ იმპერატორი დაითანხმეთ, ჩვენი მიტინგები და საგაზეთო წერილები ავტონომიისა და ავტოკეფალიის საქმეს ვერ შეაფერხებს. ამ შემთხვევაში ჩვენ რეალურ ძალას არ წარმოვადგენთ, ჩვენ ხელისუფლების იმედად ვართ, ხელისუფლება კი იმედს არ გაგვიცრუებს (იღიმება).

**ილია ჭავჭავაძე:** გმადლობთ გულახდილი საუბრისათვის!

**იოსებ ჯუღაშვილი:** იმედია, კიდევ შევხვდებით?

**ილია ჭავჭავაძე:** ღმერთმა იცის! ალბათ შევხვდებით! ნახვამდის!

*(ილია წამოდგება, იოსებ ჯუღაშვილს ხელს გაუწვდის, ორივენი კარებისაკენ მიდიან).*

## მეშვიდე სცენა

თბილისი. რსდმპ თბილისის კომიტეტის კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან იოსებ

ჯუღაშვილი და ნოე შორდანი. დრო: 1905 წლის დეკემბერი.

*(ნოე შორდანია აღელვებული ჩანს, ეტყობა, ცხარედ კამათობდნენ. იოსებ ჯუღაშვილი ირონიული ღიმილით იყურება).*

**ნოე შორდანია:** კობა! მენშევიკებისა და ბოლშევიკების უთანხმოებამ ხალხი დააბნია, ვერ გაუგიათ, ერთი პარტიის ორი წევრი რატომ მსჯელობს სხვადასხვაგვარად.

**იოსებ ჯუღაშვილი:** პლენაროვი და ლენინი უნდა შერიგდნენ და ეშველება ამ საქმეს!

**ნოე შორდანია:** პლენაროვი და ლენინი სულ უფრო სცილდებიან ერთმანეთს, რომელ შერიგებაზე ლაპარაკობ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჰოდა, დასცილდნენ, თუ ისინი ვერ შერიგდებიან, ჩვენი შერიგებაც არ გამოვა!

**ნოე ჟორდანი:** დაიბნა ხალხი, კობა! დროზე უნდა საქმეს შეველა!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ნოე! სიმართლე გინდა გითხრა?

**ნოე ჟორდანი (ოდნაუ გაბრაზებული):** აბა, რითვის მოვედი აქ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მენშევიკები და ბოლშევიკები ვერასდროს შერიგდებიან! შენც ბევრს ნუ იღებ შენს თავზე, მშვიდად იყავი.

**ნოე ჟორდანი:** კობა! თავი დავანებოთ პლექსანოვსა და ლენინს. მოდი, ჩვენ ორმა კაცმა პატიოსნად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიმსჯელოთ.

**იოსებ ჯუღაშვილი:** რაზე ვიმსჯელოთ?

**ნოე ჟორდანი:** იმ საკითხებზე, რომელთა თაობაზე ჩვენ სხვადასხვაგვარი აზრი გვაქვს.

**იოსებ ჯუღაშვილი:** თუ ამით საქმეს ეშველება, ვიმსჯელოთ!

**ნოე ჟორდანი:** რატომ არ გჯერათ თქვენ, ბოლშევიკებს, რომ რუსეთი იმავე გზას გაივლის, რა გზაც გაიარეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა?

**იოსებ ჯუღაშვილი:** პეტრე დიდიდან მოყოლებული რუსეთის ისტორია ერთსა და იმავეს გვასწავლის: რუსეთის ევროპეიზაცია – ეს უტოპიაა. რუსეთს განვითარების საკუთარი გზა აქვს. ევროპეიზაცია რუსეთში ისეთ ქაოსს გამოიწვევს, რომ შეიძლება ძველი ყოფა სანატრელი გაგვიხდეს. იქნება ოდესმე, დიდი ხნის შემდეგ, დადგეს დრო და შესაძლებელი გახდეს კიდევ რუსეთის ევროპეიზაცია, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს წარმოუდგენელია.

**ნოე ჟორდანი:** ესე იგი, შენთვის დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა იდეალი არ არის?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ღმერთმა დამიფაროს!

**ნოე ჟორდანი:** რა არ მოგწონთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო სისტემაში?

**იოსებ ჯუღაშვილი (გაბრაზებული):** ახლა ნუ დაიწყებ მენშევიკური... მე არ მითქვამს, არ მომწონს-თქო! მე ვამტკიცებ: რუსი მუჟიკისათვის და, შენ წარმოიდგინე, რუსი ინტელიგენტისთვისაც კი, შენთვისაც კი, ნოე, რუსული სამყაროს დანგრევა ტრაგედია იქნება! მე ამას ახლავე ვხვდები, შენ კი გვიან მიხვდები!

**ნოე ჟორდანი:** რატომ ფიქრობ ასე?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვთქვათ, დაანგრევენთ რუს მუჟიკს რუსული სამყარო. მერე ვინ მიართმევს მას ხონჩით ევროპულს? შეგიძლიათ თქვენ ააშენოთ, შექმნათ ევროპული სამყარო? არ შეგიძლიათ! იცოდეთ: თქვენგან მოტყუებული და გაუბედურებული ის მუჟიკი თავს გაგინჩქვავთ!

**ნოე ჟორდანი:** გამოდის, რომ რუსეთში პროგრესი შეუძლებელია?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მოგწონთ არა დასავლური სამყარო: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია? მოგწონთ არა დასავლური დემოკრატია? ვითომ არ იცით, რომ დიდი რევოლუციის შემდეგ დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებამდე ფრანგებმა ნაპოლეონ ბონაპარტისა და ბურბონების რესტავრაციის ეპოქა გამოიარეს, მერეც ბევრი სისხლი დაიდგარა. ის დემოკრატიული სისტემა, რომელიც შენ ძალიან მოგწონს, საფრანგეთში დიდი რევოლუციიდან ერთი საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა. დაახლოებით იგივე გზა გაიარა ინგლისმა.

**ნოე ჟორდანია:** ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ როდის უნდა დაიდრას რუსეთი მკვდარი წერტილიდან? იქნებ არასოდეს? ან იქნებ გვიბრძანოთ, რომ რომანოვების სადიდებელი ჰიმნი ვიმღეროთ და იმპერიის მარადიულობაზე ვიოცნებოთ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** არა ხართ თქვენ, მენშევიკები, რუსეთის მკვდარი წერტილიდან დამპყრელი ხალხი! რომც დაძრათ, იცით კი, რა უნდა გააკეთოთ? იმპერატორს შესცვლით არჩევითი პრეზიდენტით, შემოიღებთ პარლამენტს, დამოუკიდებელ სასამართლოს, თვითმართველობას!

**ნოე ჟორდანია:** რაც ჩამოთვალე, არცერთი არაა ირონიის საგანი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** სწორედ ირონიით შეხედავს ყოველივე ამას რუსი მუჟიკი და ერთ მშვენიერ დღეს თქვენც ძველი ხელისუფლების გზას გაგიყენებთ!

**ნოე ჟორდანია:** შენი ნება რომ იყოს, რას იზამდი, რით შეცვლიდი რომანოვების მონარქიას?

**იოსებ ჯუღაშვილი (წამოღება):** მოვა დრო და მაგასაც გაიგებთ! ახლა არ მინდა გუნება გავუფუჭო ევროპულ დემოკრატიაზე მეოცნებე მენშევიკებს, მერვეც გეყოფათ სადარდებელი და თავში საცემი!

**ნოე ჟორდანია:** კობა! გულახდილად მითხარი: დემოკრატის მტრებს რა გესაქმებათ რევოლუციაში?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ნოე! გულახდილად მითხარი: რუსი ხალხის მტრებს რა გესაქმებათ რუსეთში?

**ნოე ჟორდანია (ხელს ჩაიქნევს):** არ იქნება თქვენი საშველი!

**იოსებ ჯუღაშვილი (იციინს):** ან ჩვენი საშველი იქნება, ან თქვენი! ორიდან ორივეს მხოლოდ ევროპული დემოკრატია იტანს. რუსეთი ორიდან მხოლოდ ერთს ირჩევს ხოლმე, ერთს და ძლიერს! მე წავედი, ნოე! (*იოსებ ჯუღაშვილი გადის*).

## მერვე სცენა

შვეცია. სტოკჰოლმი. რსდმპ კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან: ვლადიმერ ლენინი, გრიგორი ზინოვიევი და იოსებ ჯუღაშვილი. დრო: 1907 წლის მაისი.

(*იოსებ ჯუღაშვილი ცუდ ხასიათზეა, მაღიმაღ შეხედავს ლენინსა და ზინოვიევს. ლენინი ადგება და წინ და უკან სიარულს დაიწყებს, ლაპარაკობს ისე, რომ იოსებ ჯუღაშვილს არც უყურებს*).

**ვლადიმერ ლენინი:** კობა! შენ რსდმპ ბოლშევიკური ფრაქციის ლიდერი ხარ კავკასიაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად ბოლშევიკების საქმე ცუდად მიდის კავკასიაშიც და მთელს რუსეთშიც. განსაკუთრებით ცუდადაა საქმე კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. მთელი სოციალ-დემოკრატია, მთელი მუშათა კლასი ნოე ჟორდიანის მიჰყვება. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო ბოლშევიკების მარცხი რსდმპ IV ყრილობაზე შარშან და კიდევ უფრო დიდი მარცხი წელს – V ყრილობაზე. გუშინ რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს ნოე ჟორდანია და არ ამირჩიეს მე. ახლა ნახე, რა ზეიმი ექნებათ მენშევიკებს თბილისსა და ბათუმში. შენი ჩასვლა არც კი ღირს საქართველოში. შენ ან საზღვარგარეთ უნდა დარჩე, ან პეტერბურგსა და მოსკოვში გადახვიდე. შენ

დიდ საქმეთათვის ხარ მოწოდებული. პეტერბურგისა და მოსკოვის ორგანიზაციებს შენისთანა ერთგული, გაბედული და მებრძოლი ბოლშევიკი სჭირდება. მენშევიკებს საგაზეთო წერილებით ვერ დავამარცხებთ, მოქმედებაა საჭირო. შენ შესძლებ მენშევიკების დამარცხებას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. შენისთანა გამოცდილი კაცი ჰაერივით გვჭირდება სათათბიროში. ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგ მოვილაპარაკებთ. ახლა კი გრიგორის მოუსმინეთ. შენ დიდი, სერიოზული და სახიფათო საქმე უნდა დაგავალდოთ.

**გრიგორი ზინოვიევი (ფეხზე წამოდგება):** კობა! ამჟამად საქართველოში ჩვენთვის მენშევიკებზე უფრო მეტად საშიში სხვა ძალაა. ჩვენამდე მოღწეული სანდო ცნობების თანახმად, ილია ჭავჭავაძე ცდილობს ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური პარტიის შექმნას. ეს პარტია იქნება ნაციონალისტური, ამავე დროს, პარტიის პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმობა კონსტიტუციური დემოკრატიზმის პრინციპებს. ჭავჭავაძე შეძლებს ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებას. პარტიის პროგრამაში შეტანილია მოთხოვნა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის აუცილებლობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭავჭავაძეს მხარს დაუჭერს მთელი ნაციონალისტური ძალები, ქართველი სამღვდელთა და ეკლესიის მრევლი. ჭავჭავაძეს მიზნის მიღწევას გაუადვილებს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრობა. თუ ჭავჭავაძემ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის შექმნა მოახერხა, სოციალ-დემოკრატია საქართველოში უმნიშვნელო ძალად იქცევა. ვერც ქართველი მენშევიკები და ვერც ქართველი ბოლშევიკები ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შეძლებენ, ეს უპერსპექტივო საქმეა. თანაც დრო არ ითმენს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ილია ჭავჭავაძე თავიდან უნდა მოვიცილოთ, უნდა მოვკლათ.

**იოსებ ჯუღაშვილი (მშვიდად):** ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?

**ვლადიმერ ლენინი:** რსდმპ ხელმძღვანელობამ, ცენტრალურმა კომიტეტმა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ნოე ჟორდანიას თუ ესწრებოდა სხდომას?

**გრიგორი ზინოვიევი:** ნოე ჟორდანიამ გუშინვე დატოვა სტოკჰოლმი, ვერ გავაფრთხილეთ.

**იოსებ ჯუღაშვილი (ფეხზე წამოდგება, გამჭოლი მზერით ჯერ ლენინს შეხედავს, შემდეგ ზინოვიევს):** თქვენ არ იცნობთ ქართველ ერს, საქართველოს, წარმოდგენა არა გაქვთ ვინ არის ქართველი ერისათვის ილია ჭავჭავაძე! მგონია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასა და თბილისის პოლიცემისტერის მკვლელობას შორის თქვენ განსხვავებას ვერ ხედავთ. ნუ სულელობთ, ნუ ღუპავთ სოციალ-დემოკრატიის საქმეს! ილია ჭავჭავაძის მოკვლით დააჩქარებთ ყოველივე იმას, რისიც ასე ძალიან გეშინიათ!

**გრიგორი ზინოვიევი:** ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ....

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევტინებს):** ხშირად სწორედ ის იღებს სულელურ და დამღუპველ გადაწყვეტილებას, ვინც ძალიან დიდხანს ფიქრობს. აი, მე ერთი წუთიც არ მიფიქრია და პირდაპირ გეუბნებით: თავი დაანებეთ ამ სისულელეს! თუ ამას არ იზამთ, მე დამანებეთ თავი, მე არ გამოგადგებით! (იოსებ ჯუღაშვილი დაუმშვიდობებლად ტოვებს ოთახს).

**ვლადიმერ ლენინი (ადეკლებული):** ასეც ვიცოდი. საქართველოში ცუდად წაგვივა საქმე, კიდევ უფრო ცუდად, ვიდრე დღესაა!

**გრიგორი ზინოვიევი:** გუშინაც გითხარით, ამ საქმეს ქართველს ნუ დავავალბებთ-მეთქი. ხედავთ, როგორ აღმერთებს ილია ჭავჭავაძეს? ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეს: ილია ჭავჭავაძე უნდა მოკვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ სამუდამოდ დავკარგავთ

საქართველოს და, მაშასადამე, მთელ კავკასიასაც. შეიძლება დადგეს დრო და ჟორდანია და ჯუღაშვილი ჭავჭავაძის პარტიაში აღმოჩნდნენ. მათ, უბრალოდ, სხვა გზა აღარ დარჩებათ (*ორივენი ტოვებენ ოთახს*).

## მეცხრე სცენა

თბილისი. ავლაბარი. რსდმპ თბილისის კომიტეტის კონსპირაციული ბინა.

სხედან: ბოგდან კუნნიანცი, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე.

დრო: 1907 წლის ივნისის დამდეგი

**ბოგდან კუნნიანცი:** ჩვენი შეკრება ტარდება სრულიად საიდუმლოდ. შეკრების შესახებ არ უნდა გაიგოს რსდმპ თბილისის კომიტეტმა, არც ერთმა ამხანაგმა, როგორი სანდოც არ უნდა იყოს იგი.

**ფილიპე მახარაძე:** ბინის პატრონმა ხომ იცის, შეიძლება მან ჩვენგან დამოუკიდებლად აცნობოს კომიტეტს.

**ბოგდან კუნნიანცი:** ბინის პატრონი გაფრთხილებულია.

**სერგო ორჯონიკიძე:** მაინც სჯობდა სხვაგან შეკრებილიყავით, თუნდაც სადმე სოფელში.

**ბოგდან კუნნიანცი:** ორი კვირის წინ დავბრუნდი ქუენვიდან. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განიხილეს ამიერკავკასიაში და, მათ შორის, საქართველოში შექმნილი ვითარება. გამოითქვა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ბოლო ხანებში მასებში გავლენა დაკარგა. რევოლუციის დამარცხების ფონზე ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. არის უფრო სერიოზული მიზეზიც. ჩვენმა ბრძოლამ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1905 წელს (*გადახედავს ფილიპე მახარაძეს*) სათანადო შედეგი არ გამოიღო. ამჯერად ილია ჭავჭავაძე ჩვენთვის ძალზე საშიში მოღვაწეა. ეს ცხადად დაადასტურა მისმა არჩევამ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად. ჭავჭავაძეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია დააყენოს ჩვენთვის მეტად საზიანო საკითხი მთავრობის თავმჯდომარისა და თვით იმპერატორის წინაშეც კი. ჭავჭავაძე ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჭავჭავაძე სულ მალე დააყენებს საკითხს საქართველოს ავტონომიის შესახებ. საყოველთაოდაა ცნობილი მისი მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი სამღვდლოებისადმი. საქართველოს ავტონომია და საქართველოს ეკლესიის ავტონომიის აღდგენა ძლიერ დარტყმას მიაყენებს ჩვენი პარტიის პოზიციებს. ყოველივე ამის გამო რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: ილია ჭავჭავაძე უნდა მოკვდეს. აი, ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგი ლენინი. ტერორისტული აქტის განხორციელება დავალებული გვაქვს ჩვენ სამს (*გადასცემს ბარათს ფილიპე მახარაძეს*).

**ფილიპე მახარაძე:** აქ წერია, რომ მნიშვნელოვანი პარტიული დავალების განხორციელებაში მე და სერგო უნდა დაგეხმაროთ თქვენ, მაგრამ არაფერი წერია ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ (*ბარათს სერგო ორჯონიკიძეს გადასცემს*).

**ბოგდან კუნნიანცი:** ამხანაგო ფილიპე! თქვენ არ იცით, რომ ასეთი რაიმეს შესახებ ბარათში არ წერენ? (*ბოგდან კუნნიანცი სერგო ორჯონიკიძეს ბარათს გამოართმევს და ორივეს თვალწინ დაწვავს*).

**ფილიპე მახარაძე:** იქნებ მაინც საჭიროა თბილისის კომიტეტის აზრის გაგება? ილია ჭავჭავაძის მკვლელობას დიდი ამბები მოჰყვება, ამხანაგები საქმის კურსში უნდა იყვნენ!

**ბოგდან კუნნიანი:** თბილისის კომიტეტი კი არა, უმკაცრესი მითითებაა: ტერაქტის შესახებ არაფერი არ უნდა გაიგოს იოსებ ჯულაშვილმა.

**სერგო ორჯონიკიძე:** რატომ?

**ბოგდან კუნნიანი:** პარტიის V ყრილობის შემდეგ ამხანაგი ლენინი ლონდონში ორჯერ შეხვდა და ესაუბრა ჯულაშვილს. ჯულაშვილი კატეგორიულად წინააღმდეგია ილიას მოკვლისა. ახლა ის ბაქოში უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება თბილისში ჩამოვიდეს. არაფერი უნდა იენოსოს. ეს უმკაცრესი მითითებაა.

**ფილიპე მახარაძე:** მე, რა თქმა უნდა, ვემორჩილები პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, მაგრამ ყველაფერი ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს!

**ბოგდან კუნნიანი:** ცუდად მაშინ დამთავრდება ყველაფერი, თუ საქართველომ ავტონომია მიიღო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. ჩვენ მესამეხარისხოვან ძალად ვიქცევით, თუ საერთოდ გაგვანგრეს საქართველოში.

**ფილიპე მახარაძე:** ამხანაგო ბოგდან! ჯულაშვილი სულელი არ არის! არ გაფიქრებს მისი უარი?

**ბოგდან კუნნიანი:** ჩვენ დღეს ჯულაშვილის პოზიციის შესაფასებლად არ შეგვკრებილვართ, ჩვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალება უნდა შევასრულოთ!

**სერგო ორჯონიკიძე:** ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, მისი ხელახალი განხილვა კი ჩვენი საქმე არ არის! არც ჯულაშვილის პოზიციის გარკვევაა ჩვენი საქმე!

**ბოგდან კუნნიანი:** გადავიდეთ საქმეზე. ილია ჭავჭავაძე ჩვენ შეიძლებოდა მოგვეკლა ჩასაფრებიდან გასროლით სადმე, ტყიან ადგილას, ან სულაც თბილისში. ქენევაში ამხანაგებმა სავსებით სწორად გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჭავჭავაძე მოკლან გლეხებმა, ვითომდა, მასზე გაბოროტებულმა გლეხებმა. ამით დაიფარება მკვლელობის დამკვეთი და პოლიტიკურ მკვლელობაზეც ვეღარ ისაუბრებს ვინმე. გლეხებმა ბევრი მემამულე მოკლეს ამ წლებში. ჭავჭავაძის მკვლელობას რომ პოლიტიკური მკვლელობის ხასიათი მიეცეს და კვალი ჩვენკენ წამოვიდეს, ყოვლად დაუშვებელია. ამხანაგო ფილიპე! თქვენ გვეალებათ საგურამოს გლეხების დარაზმვა ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ეს კარგად გააკეთეთ 1905 წელს, იმედია, ახლა კიდევ ფურო კარგად გაართმევთ თავს. პირადად გლეხებს არ ეჩვენოთ, უნდა იმოქმედოთ არა მეორე, არამედ მესამე პირის მეშვეობით. მგონი გასაგებია, რომ მესამე პირი თქვენ არ უნდა გიცნობდეთ. რაც შეეხება მეორე პირს, იგი უნდა მოკლათ ტერორისტული აქტის დღესვე, ან მეორე დღეს მაინც. გლეხების ჯგუფმა, 5-6 კაცმა, ჭავჭავაძის ეტლი უნდა გაანეროს ან საგურამოდან თბილისში მიმავალი, ან პირიქით – თბილისიდან საგურამოში მიმავალი. თუ გლეხები ჭავჭავაძეს მოკლავენ, ხომ კარგი, თუ არა და, იქვე ჩასაფრებაში იქნება ერთი ტერორისტი, რომელიც შეასრულებს გასროლას. გლეხებს ბოლომდე ვერ ვენდობით, შეიძლება ბოლო მომენტში მერყეობა დაიწყონ. ტერორისტმა კი თავისი საქმე კარგად იცის. ამხანაგო სერგო! ამ ტერორისტის მოძებნა შენ გვეალება. ჩვენ მისი გასროლის იმედად ვართ. ფულზე უკან ნუ დაიხევ. ამხანაგო ფილიპე! ამ ტერორისტის შესახებ გლეხებმა არაფერი არ უნდა იცოდნენ, ხოლო ტერორისტმა გლეხების ჩასაფრების ადგილი წინასწარ უნდა დაათვალიეროს და სროლისათვის ადგილი შეარჩიოს. ფული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გადმომცა და ჩემთან ინახება. კიდევ ერთი დეტალი. ილიას მეეტლე ან მისი მცველი, უკეთესია მეუღლე, ცოცხალი უნდა გადარჩეს, ძიებას გლეხების თავდასხმის ფაქტი რომ დაუდასტურონ. ეს უკვე თქვენ გეხებათ, ამხანაგო ფილიპე! შეიძლება გლეხების მიერ

ჭავჭავაძის მოკვლა არადამაჯერებელი გამოდგეს, ამიტომაც იმავე დღეს უნდა დაირხეს ხმები, რომლის მიხედვითაც „ჭავჭავაძე მოკლეს ძარცვის მიზნით. ან იმის შესახებ, რომ ჭავჭავაძე მოკლეს რუსის ოფიცრებმა, ან უცნობმა პირებმა, რომლებიც სომხურად ლაპარაკობდნენ. ამხანაგო სერგო! ტერორისტი ქართველი უნდა იყოს. შეასრულებს თუ არა თავის საქმეს, იგი იმავე დღეს ბაქოში ან ბათუმში უნდა გადაიყვანოს და ორი-სამი კვირა დამალოს. ახლა დავიშალოთ. ჯერ მე წავალ, შემდეგ თქვენ, ოღონდ ცალ-ცალკე, ათი წუთის ინტერვალით (*ბოგდან კუნნიანცი გადის*).

**ფილიპე მახარაძე:** სერგო! ამ საქმეში მე ყველაზე მეტად ჯულაშვილის პოზიცია მაშინებს. ვერაგი კაცია! ახლა შეიძლება ვერაფერი გაიგოს, მაგრამ ეჭვს აიღებს და ვინ იცის, როდის გაგვისხენებს!

**სერგო ორჯონიკიძე:** ვერაფერს გაიგებს! ამხანაგი ბოგდანი ჭკვიანი კაცია, იმიტომ ენდობა ამხანაგი ლენინი. ჩვენ არ გვითხრა, თორემ რა მიხვედრა უნდა: გლეხები, რუსი ოფიცრები და სომხები ჯულაშვილის დასაბნეველად არის გამიზნული.

**ფილიპე მახარაძე:** სერგო! კუნნიანცისთანა კაცები ჯულაშვილისთანა კაცებს ვერ მოატყუებენ. მე ვგრძნობ, ამ საქმიდან ლენინიც თავს დაიძვრენს და კუნნიანციც, ჩვენ კი ცუდი დღე დაგვადგება. მე წავედი (*გადის*).

**სერგო ორჯონიკიძე** (*თავისთვის ჩაილაპარაკებს*): თუ ეს დავალება არ შევასრულე, ლენინს ვერასდროს დავუახლოვდები, ვინ ჩამაგდებს მე კაცად, ვის რაში ვჭირდები! მთელი ცხოვრება ფილიპეს ჩრდილში უნდა გავატარო? (*გადის*).

## მეათე სცენა

თბილისი. ხარფუხი. კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან: იოსებ ჯულაშვილი და სიმონ ტერ-პეტროსიანცი (კამო). დრო: 1907 წლის ივნისის მეორე ნახევარი.

(*იოსებ ჯულაშვილი ამრეზილია, ალმაცერად უყურებს კამოს*).

**კამო:** როდის ჩამოხვედი ბაქოდან?

**იოსებ ჯულაშვილი:** შენ რა იცი, საიდან ჩამოვედი? საქმეზე ილაპარაკე! რამდენჯერ გითხარი: შენ ნუ მეძებს, თუ საჭირო იქნენი, მე თვითონ გიპოვნი-თქო?

**კამო:** სასწრაფო საქმეა, კობა! გადადება არ იქნებოდა!

**იოსებ ჯულაშვილი:** ამოღერდე!

**კამო:** გაიგებდი, ესერებმა ერევანსკის მოედნიდან ხაზინის ფული გაიტაცეს, დიდი ფული.

**იოსებ ჯულაშვილი:** ვინ გაიტაცა?

**კამო:** სარქის ოთაროვი იყო და კიდევ ექვსნი.

**იოსებ ჯულაშვილი:** ოთაროვს შენი ჭკუა აქვს, მაგრამ შენ ის მაინც გასწავლე, რომ ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას სულელის მეტი ვერ გაბედავს. ხომ ასეა?

**კამო:** მაშ!

**იოსებ ჯულაშვილი:** შენ ვინ გითხრა, რომ ოთაროვი ხელმძღვანელობდა ფულის გატაცებას?

**კამო:** მთელი ქალაქი ამას ლაპარაკობს!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** მთელი ქალაქი რომ ლაპარაკობდეს, სიმონ ტერ-პეტროსიანცი მეფისნაცვლად დანიშნესო, დაიჯერებ?

**კამო:** ვაჰ!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** სანდო წყარო უნდა იყოს, რამდენჯერ გითხარი?

**კამო:** პოლიცემისტერსთან ხომ არ მივიდოდი და ვკითხავდი?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** მორჩი! რამდენჯერ უნდა აგისსნა, როგორ უნდა გაიგო, ამბავი ნამდვილია თუ არა?

**კამო:** ესერებმა ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამაღეს. ოცი ტერორისტი დარაჯობს იმ ფულს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცის, მაგრამ სისხლისღვრას ვრიდებ, ტერორისტებს რამდენიმე ბომბიც აქვთ, სროლა რომ ატყდეს, მთელი ავლაბარი გადაიწვება. ძალიანაც რომ ეცადონ, ესერები ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანენ, მე მოხოვეს დახმარება.

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ხომ გითხარი, სულელია ეგ შენი ოთაროვი!

**კამო:** ნაღდად! ერევანსკის მოედანზე სროლის დროს ცხენები დაფრთხენენ, ეტლმა პატარა ბავშვი გაჭყლიტა! თუ დაიჭირეს, ოთაროვს კატორღა არ ასცდება!

**ოსსებ ჯუღაშვილი (გამოცოცხლებდა):** სულელი კი ხარ, მაგრამ შენზე უკეთ მაგ საქმეს ვერავინ გააკეთებს!

**კამო:** რა ვქნა? დავეთანხმო?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ფულის გატანის გეგმა შენი შეთავაზებული უნდა იყოს. თუ ესერების გეგმით იმოქმედებ, იცოდებ, ფულს გაგატანინებენ და მერე მაგ სულელ თავსაც გაგიხვრეტენ, შენ დიდ გასამრჯელოს ვინ მოგცემს?

**კამო:** ვაჰ!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** შეიძლება არ მოგკლან, მაგრამ ფულს ნამდვილად არ მოგცემენ!

**კამო:** ვაჰ!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** შენთვის სულ ერთია: გინდ ფული არ მოუციათ და გინდ მოუკლიხარ. ხომ ასეა?

**კამო:** რო შევეშვა მაგ საქმეს?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** არავითარ შემთხვევაში! დღეიდან ეს ფული ესერებს რომ ჟანდარმერიამ წაართვას, შენ გაეხვევი შარში. მიდი და უმტკიცე მერე ესერებს, რომ ჟანდარმერიის აგენტი არა ხარ, უეჭველად მოგკლავენ.

**კამო:** ე რა ხათაბალაში გავეხვიე! კიდევ კარგი, რომ შენ ჩამოხვედი!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** მისმინე! ოთაროვს ხომ კარგად იცნობ?

**კამო:** ერთად არ გავზრდილვართ, მაგრამ კარგად ვიცნობ.

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ოთაროვს ნახავ და ასეთ გეგმას შესთავაზებ: უნდა გაითამაშოთ ქორწილი. შენ ნეფე იქნები, დედოფალს ესერები მოძებნიან. იცოდებ ის ქალი ტერორისტი იქნება და შენ ყოველ ნაბიჯს გააკონტროლებს. იქნება შენი მოკვლაც უბრძანონ! მატარებლით ჩახვალთ ბათუმამდე, ბათუმიდან გემით, სადაც გნებავთ, ევროპის რომელ ქვეყანაშიც გინდათ. შენ პასპორტი არა გაქვს, რომც გქონდეს, შენი პასპორტით წასვლა არ შეიძლება.

**კამო:** რატომ?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** რატომ და საბაჟო უნდა გაიაროთ. ეგ საქმე ოდესმე გასკდება და დაგიჭერენ. თუ ესერებმა არ მოგკლეს, ციმბირში გიკრავენ თავს. საბაჟო სხვისი პასპორტით უნდა გაიარო. იცი, პასპორტი სად უნდა მოიპარო?

**კამო:** ბაზარში!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** მთელ ბაზარში ათ კაცს არ ექნება პასპორტი ჯიბეში, მთელ ბაზარს ხომ არ გაჩხრეკ? გარდა ამისა, შენ უცხოელის პასპორტი გჭირდება.

**კამო:** მა რა ექნა?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** უცხოელები გოგირდის აბანოში დადიან ხშირად. იქ უნდა მოიპარო პასპორტი, თანაც ტანსაცმელთან ერთად, ვითომ ჩვეულებრივმა ქურდმა მოიპარა.

**კამო:** ადვილი საქმეა! წავიდე?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** სად უნდა წახვიდე? კარგად მისმინე! გემიდან ჩახვალ თუ არა, იმ შენს დედოფალს უნდა დაუსხლტე ხელიდან. ფრთხილად იყავი, შეიძლება სხვა ვინმეც გითვა-ლთვალელებდეს, თუ რაიმე შეგატყვეს, იქვე მოგკლავენ!

**კამო:** ვა! რა შარში გავეხვიე, კაცო! ო, ეგ სარქისა ოთაროვი მომცა ახლა აქა!

**ოსსებ ჯუღაშვილი:** შენს დედოფალს რომ დაუძვრები, თუ იცი, მერე სად უნდა წახვიდე, ვის უნდა მიუტანო ფული?

*(კამო გაშტერებული იყურება, დაბნეულია, არ იცის რა უპასუხოს, ხმას ვერ იღებს).*

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ჰა, ასე იფიქრე ხომ: იმ ფულს უკან წამოვიღებ, დავჯდები და სიკვდილამდე ფეხი ფეხზე გადადებული ვიცხოვრებო! სარქისას არ გაუყოფდი?

**კამო:** სარქისასა?

**ოსსებ ჯუღაშვილი (იცინის):** ფული ქენევაში უნდა მიუტანო ლენინს და პირადად ჩააბარო მას. ქენევის მისამართს წასვლისას სადგურზე გადმოგცემს ჩემი კაცი, არსად ჩაიწერო, ზეპირად უნდა დაიმახსოვრო. ქენევაში შენს წილ ფულს მოგცემენ, ახალ პასპორტსაც მოგცემენ, სასწრაფოდ დაბრუნდი თბილისში. ეგ მოპარული პასპორტი დახიე და გადააგდე. საზღვარგარეთ ხეტიალი არ დაიწყო, მაშინვე დაბრუნდი თბილისში.

**კამო:** მერე სარქისამ რომ მკითხოს ფული სად წავიღეო?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** ეგ შენი სარქისა მანამდე ციმბირში იქნება. მის ტერორისტებს კი ეგ ფული ფეხებზე ჰკიდიათ, იმათ თავის წილი უკვე მიღებული ექნებათ. შენ აღარავის გაახსენდები, ბოლშევიკები და ესერები მორიგდებიან!

**კამო (დაფიქრებული):** წავიდე?

**ოსსებ ჯუღაშვილი:** წადი და ჩემთან მოსვლა აღარ გაბედო, მე თვითონ მოგძებნი *(კამო გადის)*.

**ოსსებ ჯუღაშვილი (მარტო რჩება, დაფიქრდება და ჩაილაპარაკებს):** ეს საქმე ზედგამოჭრილია ამისთანა რეგენისათვის. ვერც კი ხვდება, რა შარში გაეხვა. აბანოში პასპორტის მოპარვასა და საზღვარგარეთ ფულის გატანას შორის განსხვავებას ვერ ხვდავს. თუ სიხარბემ არ დაღუპა, გააკეთებს ამ საქმეს.

## მეთერთმეტე სცენა

თბილისი. ავლაბარი. რსდმპ კომიტეტის კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან ოსსებ ჯუღაშვილი და ვასილ ცაბაძე. დრო: 1907 წლის ივნისის დამლევით.

(*იოსებ ჯუღაშვილი და ვასილ ცაბაძე ფიქრს მისცემიან. დუმილს ვასილ ცაბაძე დაარღვევს*)

**ვასილ ცაბაძე:** მაშ მიდიხარ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მივდივარ!

**ვასილ ცაბაძე:** ბაქოში?

**იოსებ ჯუღაშვილი:** არ გადამიწყვეტია!

**ვასილ ცაბაძე:** ჩვენ სხვადასხვა ფრაქციას ვეკუთვით, მაგრამ მე ვაფასებ შენს ნიჭს, შენს გამბედაობას. ფრთხილად იყავი, შენისთანა ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს, ფრთხილად იყავი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვის გულისხმობ?

**ვასილ ცაბაძე:** ცხადია, ჟანდარმერიასა და ოხრანკას არა. ესენი რომ შენი მტრები არიან, შენც კარგად იცი (*იღიმება*). მე ჩვენს პარტიას – რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ვგულისხმობ. პარტიაში შენ ბევრი მტერი გყავს, რუსეთში კიდევ უფრო გაგიმრავლდებიან მტრები. ფრთხილად იყავი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** შენთან შეიძლება თქვა. სანამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ორი ფრაქცია – ბოლშევიკური და მენშევიკური – არსებობს, შეიძლება ითქვას, პარტია არც არსებობს. სტოკჰოლმის ყრილობაზე დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკთა და მენშევიკთა გაერთიანება უიმედო საქმეა. ერთადერთი პერსპექტივაა: ერთის ნაცვლად ორი პარტია უნდა შეიქმნას, ორი დამოუკიდებელი პარტია. სამწუხაროდ, ამის გაგება არ სურს არც გიორგი პლეხანოვს და არც ვლადიმერ ლენინს. ერთმანეთი ეზიზღებათ და, ამავე დროს, ერთ პარტიაში უნდათ ყოფნა, ვერ გაიგეს, რომ უნდა დასცილდნენ ერთმანეთს.

**ვასილ ცაბაძე:** გიორგი პლეხანოვი ჭკვიანი კაცია, ვერ გამოიგია, რა მოსდის?

**იოსებ ჯუღაშვილი:** გიორგი პლეხანოვს ყველაფრის ნიჭი აქვს, გარდა სახელმწიფო მოღვაწისა. ის კარგი მწერალი, კარგი პუბლიცისტი და კარგი ფილოსოფოსიც კი იქნებოდა, სახელმწიფო მოღვაწედ კი ვერ გამოდგება. სახელმწიფოებრივი აზროვნების ნასახი არ გააჩნია, ზის და ოცნებობს. თავისი შეხედულებებით არც რუსია და ევროპელი, სადღაც რუსეთსა და ევროპას შორის ჩარჩა და ამ მდგომარეობისათვის თავის დაღწევა ვერ მოუხერხებია – ვერც წინ მიდის, ვერც უკან ბრუნდება. ესაა ყველა მოაზროვნე რუსის ბედი!

**ვასილ ცაბაძე:** ვლადიმერ ლენინს ნაკლებად ვიცნობ, რა აქვთ საერთო პლეხანოვსა და ლენინს?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ლენინთან პირველი შეხვედრისას უნებურად გამიჩნდა შეგრძნება, რომ ვესაუბრებოდი ჯიბის ქურდს. ნაკითხი კაცია, მაგრამ განათლება არა აქვს. თითქმის არ იცის ისტორია, ძალზე მოიკოჭლებს ფილოსოფიაში, ლიტერატურით, მათ შორის – რუსულით, ალბათ, არასოდეს დაინტერესებულა. პლეხანოვთან მისი შედარება არ შეიძლება. პლეხანოვი გრძნობს ამას და ზემოდან უყურებს, „ჟულიკს“ ეძახის. პლეხანოვთან შედარებით, ლენინს ერთი უპირატესობა აშკარად აქვს: რუსეთს ასე თუ ისე იცნობს. სახელმწიფო მოღვაწე არც ლენინისაგან დადგება. მამამისმა კარგი პროფესია შეურჩია. ადვოკატობით რომ დაკმაყოფილებულიყო, მთელს ცხოვრებას მშვიდად გაატარებდა.

**ვასილ ცაბაძე:** ახლა აღარ მიკვირს, რატომ ეგებებიან რუსეთში ფეხქვეშ ნოე ჟორდანიას.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ნოე ჟორდანიას მათთან შედარებით ჰეგელია. პლექსანოვი გვერდიდან არ იცილებს, ლენინი კი ეხვეწება: ხელს ნუ გვიშლი, დაბრუნდი კავკასიაში და რაც გინდა, ის აკეთეო. ლენინს აშკარად ეშინია ნოესი.

**ვასილ ცაბაძე (ივინი):** ნოე რას პასუხობს?

**იოსებ ჯუღაშვილი:** რა უნდა უპასუხოს? არც ეგ გაუჩენია სახელმწიფო მოღვაწედ ღმერთს. გაზეთის რედაქტორობა და თბილისის თვითმმართველობაში ლაყბობაა მაგისი საქმე. უძაღლო ქვეყანაში კატებს აყვებენო, სწორედ ნოეზეა ნათქვამი.

**ვასილ ცაბაძე (ივინი):** აბა, აბა, მეგობარს ნუ გამიღანძღავ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** არ არის ნოე ჟორდანიას შენი მეგობარი. ნოე ჟორდანიას სილიბისტრო ჯიბლაძის მეგობარია! ჰო, მართლა, სად აგდია სილიბისტრო?

**ვასილ ცაბაძე:** სად უნდა იყოს, აქაა, თბილისში.

**იოსებ ჯუღაშვილი:** რა ქნეს, გადააბრუნებს სილიბისტროს მიერ განსწავლულმა მუშებმა მეფის ტახტი? თურმე თბილისში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს, ხოლო პეტერბურგში ნიკოლოზს გული უსკდებოდა: არიქა, გვიშველეთ, სილიბისტრო ჯიბლაძემ რომ მუშებს კარლ მარქსის „კაპიტალი“ შეასწავლა, სწორედ ის მუშები მოდიანო! (ივინი).

**ვასილ ცაბაძე (ივინი):** შენც მასთან არ იყავი, მისი მოწაფე არა ხარ?

**იოსებ ჯუღაშვილი (დაფიქრებით):** ვიყავი, სილიბისტროს მოწაფე ვიყავი, შენი მოწაფეც ვიყავი! ერთი რამ უნდა გითხრა, თუ არ მიწყენ!

**ვასილ ცაბაძე:** თქვი, რატომ უნდა მეწყინოს?

**იოსებ ჯუღაშვილი:** სილიბისტრო ჯიბლაძესაც, ვასილ ცაბაძესაც, ნოე ჟორდანიასაც, გიორგი პლექსანოვსაც, ვლადიმერ ლენინსაც და ბევრ სხვასაც რუსეთსა და საქართველოში სოციალ-დემოკრატიზაცია პროფესიად გექცათ. ძალიან მშვიდად ხართ და აგრძელებთ თქვენს საქმიანობას. ნუ გეწყინება, და ასე მგონია, თქვენ რომ მოხუცდებით, ნიკოლოზ II პენსიასაც მოსთხოვთ. ვერ გაგიგიათ რომ სოციალ-დემოკრატიზაცია პროფესია არ არის, ეს პოლიტიკაა და ყველა პოლიტიკოსის მიზანი ხელისუფლების დაპყრობაა. ასე იყო და ასე იქნება! ის მუშები, შენ და სილიბისტრო რომ სოციალიზმის თეორიის დოგმებს აზუთხვინებთ, ნიკოლოზის ტახტს ვერ გადააბრუნებენ! თავსაც იტყუებთ და იმ საცოდავებსაც ატყუებთ! ციხემ და კატორღამაც ვერ გასწავლათ ჭკუა. ძალაუფლებას თქვენ ვერასოდეს ჩაიგდებთ ხელში. სასწაული რომ მოხდეს და ჩაიგდოთ, მაღევე დაკარგავთ. თქვენ რუსეთის იმაზე ცუდი პატრონები იქნებით, ვიდრე რომანოვები არიან! ხომ ასეა?

**ვასილ ცაბაძე (დაფიქრებული):** შენ რას აპირებ?

**იოსებ ჯუღაშვილი (დაფიქრებული):** არ ვიცი, თქვენსავით უქმად ჯდომას არ ვაპირებ, მომწყინდა ეს ყველაფერი! მაქვს რაღაც მოფიქრებული, მაგრამ ბოლომდე დალაგებული არა მაქვს, რომც მქონდეს მაინც ვერ გეტყვი.

**ვასილ ცაბაძე:** ფრთხილად იყავი, კობა! ადრეც გითხარი: შენისთანა ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს. ის, რაც მე მითხარი, კიდევ უფრო ბევრ მტერს გაგიჩენს. ფრთხილად იყავი! როგორ მოგკებნო?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მე თვითონ მოგკებნი, ხომ იცი, ძველ ჩვეულებას არ ვღალატობ (ორივენი წამოდგებიან, ერთმანეთს გადაეხვევიან. იოსებ ჯუღაშვილი პირველი ტოვებს კონსპირაციულ ბინას).

**ვასილ ცაბაძე** (*მარტოდ დარჩენილი*): არავის არ დაინდობს: არც სილიბისტრო ჯიბლაძეს, არც ვასილ ცაბაძეს, არც ნოე ჟორდანიას, არც გიორგი პლეხანოვს, არც ვლადიმერ ლენინს და არც ნიკოლოზ III! არავის არ დაინდობს! (*გადის*).

### მეთორმეტე სცენა

გორი. იოსებ ჯულაშვილის სახლი. ოთახში სძინავს კეკე. დრო: 1907 წლის ივლისის დამდეგი.

(*იოსებ ჯულაშვილი კარზე ფრთხილად აკაკუნებს. კეკე გამოფხიზლდება, ტანთ ჩაიცვამს და კართან მივა*).

**კეკე**: რომელი ხარ?

**იოსებ ჯულაშვილი**: მე ვარ დედა, არ შეგეშინდეს!

**კეკე** (*სახწრაფოდ გააღებს კარებს*): მაინც არ იშლი შეუდამით სიარულს ხომ? (*დედა და შვილი ერთმანეთს გადაეხვევიან*). როგორა ხარ, შვილო? (*ორივენი საწოლზე ჩამოსხდებიან*).

**იოსებ ჯულაშვილი**: არა მიჭირს. შენ როგორა ხარ, დედა?

**კეკე**: მოგხუცდი, შვილო, ჯანი აღარ მომდევს... ჰო, კინაღამ დამავიწყდა შენი თხოვნა, პირველი რა უნდა გითხრა: სამჯერ მოგაკითხა ჟანდარმმა მომონოვმა, სად არისო, იკითხა.

**იოსებ ჯულაშვილი**: რა უპასუხე მაგ ლოთს?

**კეკე**: როგორც დამარიგე: დიდი ხანია არ მინახავს, წერილიც არ მოუწერია-მეთქი.

**იოსებ ჯულაშვილი**: ძალიან კარგი!

**კეკე**: დამაცადე, კიდევ უნდა გითხრა რაღაც. ჟანდარმერიის კაცი რომ არის ერთი, რას ეძახი შენ ვეღარ დავიმახსოვრე...

**იოსებ ჯულაშვილი**: ფარული მეთვალყურეობის აგენტი.

**კეკე**: ჰო, აი, ეგა! სამი დღეა სულ ჩვენს უბანში დაეთრევა, ორჯერ ჩვენთანაც შემოიარა, თითქოს ისე, სხვათა შორის. კარზე კაკუნი რომ გავიგონე, ეგ ოხერი მეგონა, შემეშინდა.

**იოსებ ჯულაშვილი**: ეტყობა იენოსეს, თბილისში რომ ჩამოვედი, იფიქრეს, გორში დედას აუცილებლად ნახავსო. ჭკვიანი ხალხია, მაგათ იმედად იყოს ნიკოლოზ II (*იციინის*).

**კეკე**: საიდან ჩამოხვედი თბილისში?

**იოსებ ჯულაშვილი**: აგარაკიდან (*იციინის*).

**კეკე**: შენ იციინი და იცი, რამდენი კაცი დაიჭირეს გორში? სად გადაკარგეს, არავინ იცის! სულ გადამავიწყდა, ვახშამს მოგიმზადებ, პური ჭამე, შვილო (*წამოდგება*).

**იოსებ ჯულაშვილი**: არაფერი არ მინდა. მალე უნდა წავიდე, ჩამოჯექი, ვისაუბროთ. აი, ცოტა ფული მოგიტანე, დრომდე იკმარე, შემდეგ კიდევ გამოგიგზავნი (*ფულს გადასცემს*).

**კეკე** (*დანადგლიანებულად*): კითხვა აღარ უნდა, სადღაც შორს მიდიხარ!

**იოსებ ჯულაშვილი**: შეიძლება წავიდე!

**კეკე**: სად?

**იოსებ ჯულაშვილი**: შენთვის რა მნიშვნელობა აქვს (*იციინის*).

**კეკე**: მამა თუ ნახე, შვილო!

**იოსებ ჯულაშვილი** (*მოიდუშება*): გუშინ ფული გავუგზავნე, მითხრეს, გამუდმებით სვამსო. ის ფული ალბათ გუშინვე დახარჯა.

**კეკე:** ქმარმა მიღალტა, ღმერთმა შეუნდოს (*პირჯვარს გადასახავს*). აი, შენ რომ დაგეჯერებინა და მღვდელი გამოსულიყავი, ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა გორში!

**იოსებ ჯულაშვილი** (*დაფიქრებული*): აკი დაგიჯერე და სასულიერო სასწავლებელი დავამთავრე, სასულიერო სემინარიაშიც შევედი, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემგან მღვდელი არ გამოვიდოდა!

**კეკე:** რატომ, შვილო?

**იოსებ ჯულაშვილი:** ამ ქვეყანას პატიოსანი მღვდლის კეთილი სიტყვა ვერას უშველის, მე კი მრევლს ვერ მოვატყუებდი. მღვდელმა სიმშვიდისა და მორჩილებისაკენ უნდა მოუწოდოს მრევლს. ეს რომ გამეკეთებინა, ჩემი თავის მოტყუება გამოვიდოდა. ამას ვინ ჩივის, ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი არ ვიქნებოდი, რადგან არა მწამს, რომ ჩაგრულს, დევნილს, ღატაკს რაიმე ეშველება, თუ ეს ქვეყანა არ გადატრიალდა და სამართლიანობა არ დამყარდა. ამაში რომ დავრწმუნდი, იმიტომ ვთქვი მღვდლობაზე უარი.

**კეკე:** თუ ქვეყანას რაიმე ეშველება...

**იოსებ ჯულაშვილი** (*წამოდგება, დედას გადაეხვევა*): ჩემი წასვლის დრო მოვიდა. უანდარმი მომონოვი გაიღვიძებდა და დამიჭერს (*იციინის*). შენ ნუ გამოსვალ, დაწეკი. ხვალ ან ზევ მოგაკითხავენ. რას გკითხავენ და რა უნდა უპასუხო, იცი. მშვიდობით! (*იოსებ ჯულაშვილი კიდევ ერთხელ ეხვევა დედას, კეკე შვილს პირჯვარს გადასახავს. იოსებ ჯულაშვილი გადის*).

(*კეკე ხატების წინ დაიხოქებს და ღოცვას იწყებს*).

ფარდა

(*პირველი მოქმედების დასასრული*)

## მეორე მოქმედება

### პირველი სცენა

ბაქო. რუსული ეკლესიისაკენ მიმავალი ქუჩა. ხალხი ირევა. დრო: 1908 წელი.

*(ქუჩაში მიდის შუა ხანს გადაცილებული მღვდელი. წამოეწევა მამაკაცი, კარგა ხანს უკან მიჰყვება. ეკლესიასთან რომ მივლენ მამაკაცი მღვდელს ზურგიდან ხმადაბლა დაუძახებს: მამა გიორგი! მღვდელი შემობრუნდება და გაოცებული შედგება).*

**მამა გიორგი:** დიდება უფალს, ეს თქვენა ხართ, ჯულაშვილო?

**იოსებ ჯულაშვილი:** დიას, მე ვარ! ეკლესიაში შევიდეთ, ქუჩაში ჩემი დგომა არ შეიძლება!

**მამა გიორგი:** შევიდეთ! სადიაკვნო ოთახს მიაგნებ? იქ დამელოდე!

**იოსებ ჯულაშვილი:** მივაგნებ!

*(ცოტა ხნის შემდეგ სადიაკვნო ოთახში პატარა მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ სხედან მამა გიორგი და იოსებ ჯულაშვილი).*

**იოსებ ჯულაშვილი:** მამა გიორგი, ბაქოში მსახურობთ?

**მამა გიორგი:** ასე იწება, შეილო, ღმერთმა!

**იოსებ ჯულაშვილი:** ღმერთმა თუ ეგზარქოსმა?

**მამა გიორგი:** ღმერთმა!

**იოსებ ჯულაშვილი:** ნუ გამიბრაზდები, მამაო!

**მამა გიორგი:** არ გიბრაზდები!

**იოსებ ჯულაშვილი:** სემინარიის ეკლესიაში მოსვლა იმიტომ მიხაროდა, რომ თქვენი ქადაგებები მომწონდა!

**მამა გიორგი:** ვერ ვყოფილვარ ვერც კარგი მოძღვარი და ვერც კარგი მქადაგებელი!

**იოსებ ჯულაშვილი:** ყველაფერი ღმერთის ნებაა!

**მამა გიორგი:** ტყუილი, ძალადობა და კაცის კვლა ღმერთის ნება არ შეიძლება იყოს, ეგ სატანის ნებაა!

**იოსებ ჯულაშვილი:** რაღაცაში მდებთ ბრალს, მამაო, სჯობს პირდაპირ მითხრაო!

**მამა გიორგი:** გეტყვი. მე შენი მოძღვარი ვიყავი. აღსარებას მახარებდი, ბევრჯერ გაზიარე. შენში ეჭვი არასდროს შემპარვია. მეგონა სამაგალითო მღვდელი დადგებოდი. არც ის გამიკვირდებოდა, ეპისკოპოსად ხელდასხმა რომ მიგელო. მე ღმერთს შენი სული უნდა შევავედრო. ამჯერად აღსარებას არ ვიბარებ, მხოლოდ ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი: ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე? შენ თუ ხარ ამ ცოდვაში გარეული?

**იოსებ ჯულაშვილი:** მე ამ საქმისა არა ვიცი რა! არ გჯერათ?

**მამა გიორგი:** დაგავიწყდა, რომ მოძღვარს ამ კითხვას არ უსვამენ? რატომ არ უნდა მჯეროდეს, მჯერა! შენგან მინდოდა გამეგო ეს სიტყვები, თორემ მე დარწმუნებული ვიყავი: „ივერიაში“ დაბეჭდილი ხუთი შესანიშნავი ლექსის ავტორი, ჩემი სულიერი შვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობას არ მიიღებდა!

**იოსებ ჯულაშვილი:** გამაღლობთ! აღარც კი მახსოვს, თქვენისთანა ადამიანი ბოლოს როდის ვნახე. ჩემი ცხოვრება უზნეო ადამიანებთან მუდმივმა ურთიერთობამ ჯოჯოხეთად აქცია, ძნელია უზნეო ადამიანებში ცხოვრება!

**მამა გიორგი:** შენ როგორი გახდი, იოსებ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** მეც უზნეო გახდი. თუმცა პოლიტიკაში ჩემისთანა კაცს უზნეო არ ჰქვია. ჩემისთანა კაცი ეკლესიისათვისაა უზნეო. რევოლუციონერის პროფესია მეძავი ქალის პროფესიაზე უფრო საძაგელია!

**მამა გიორგი:** მერე რა გინდა მაგ უზნეო ადამიანებში? შენ ხომ შეგეძლო სხვა გზა აგერჩია, შენ ყველაფრის ნიჭი გქონდა, რატომ აირჩიე ეს გზა?

**იოსებ ჯუღაშვილი:** უსამართლობა ცეცხლითა და მახვილით უნდა ამოიკეთოს! ზნეობრივმა ადამიანებმა ეს ვერ შეძლეს. ბევრი წერეს იდეალური საზოგადოებისა და სახელმწიფოების შექმნის თაობაზე, ძმობის, თანასწორობისა და ერთობის თაობაზე. ყველაფერი ამას გამოდგა. იმ უზნეო ადამიანებს, სახელმწიფოებისა და ხალხების ბედი რომ ებარათ, ყოველივე ეს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. უზნეობას უზნეობით უნდა ებრძოლო, სხვა გზას მე ვერ ვხედავ.

**მამა გიორგი:** ღმერთის მცნება...

**იოსებ ჯუღაშვილი (აწყვეტილებს):** ვიცი, მამაო, მე რომ ღმერთის მცნებებით მეგლო, დღეს ეკლესიაში ვიქნებოდი თქვენსავით. მე სხვა გზა ვარჩიე. ამაზე ნუღარ ვიკამათებ!

**მამა გიორგი:** თქვენი ნებაა! ახლა არა როგორც მოძღვარი, არამედ როგორ ქართველი ქართველს გეკითხები: ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე? ცხადია, ჩემგან შენს ნათქვამს ვერავინ შეიტყობს.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ზოგიერთი რაღაც ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვი, არა იმიტომ, რომ საიდუმლოს ვერ შეინახათ, იმიტომ, რომ ასე სჯობს თქვენთვის! დამიჯერეთ, ასე სჯობს! ვიცი, საქართველოში დიდი ვნებათა ღელვაა, ბრალს სდებენ ერთმანეთს. თქვენ კონკრეტულად ვინც გაინტერესებთ მკითხეთ და თუ რაიმე ვიცი, გიპასუხებთ.

**მამა გიორგი:** მთავრობა თუ ურევია ამ საქმეში?

**იოსებ ჯუღაშვილი:** არა!

**მამა გიორგი:** თქვენი პარტია, თბილისის კომიტეტი?

**იოსებ ჯუღაშვილი:** კონკრეტულ პიროვნებებზე მკითხეთ?

**მამა გიორგი:** ნოე ჟორდანიას?

**იოსებ ჯუღაშვილი:** გამორიცხულია!

**მამა გიორგი:** ფილიპე მახარაძე?

**იოსებ ჯუღაშვილი:** არ ვიცი! ისე დიდი უზნეო კაცია!

**მამა გიორგი:** სერგო ორჯონიკიძე?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ეგ იმ უზნეო კაცებშიც კი გამორჩეულია თავისი უზნეობით, ყველაფერს იკადრებს!

**მამა გიორგი:** მე საგანგებოდ შეეხვდი ექიმს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის გვამი დაათვალიერა. იცი, რა მითხრა: ილიას ტყვია შუბლში კი არა აქვს მოხვედრილი, არამედ ზურგში, უფრო სწორად, მარცხენა მხრიდან ნეკნების გავლითაა ტყვია სხეულში შესული, გულია გაგლეჯილი.

**იოსებ ჯუღაშვილი (დაფიქრებული):** ნაცნობი ხელწერაა, ყველაფერი ნათელია!

**მამა გიორგი:** რა არის ნათელი?

**იოსებ ჯუღაშვილი (ფიქრებში წასული):** არაფერი, მამაო! სჯობს ამ ბინძურ ისტორიაში თქვენ არ ჩაიხედოთ, თქვენ ადამიანი უნდა გიყვარდეთ!

**მამა გიორგი:** მე ადამიანი ყველა შემთხვევაში უნდა მიყვარდეს!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ილიას მკვლეელიც? პასუხი არ მინდა, მამაო! ვიცი, რასაც მიპასუხებთ! ჩემი წასვლის დროა, მშვიდობით! (*იოსებ ჯუღაშვილი გადის*).

**მამა გიორგი:** ღმერთო! შენ მოაქციე ქრისტეს მცნებაზე მონა შენი იოსები, შეუნდე შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი!

**იოსებ ჯულაშვილი:** *(ქუჩაში გასული რამდენიმე წუთით შედგება, ჩაფიქრდება და თავისთვის ჩაილაპარაკებს):* ტყვია ზურგიდან ესროლეს, ესე იგი გლეხები, რომელთაც ეტლი გააჩერეს, არაფერ შუაში არიან, მკვლეელი სხვა ვინმეა! მარცხენა მხრიდან, ნეკნების გავლით შევიდა ტყვია სხეულში და გული გაგლიჯა. ასე ორი კაცი ისვრის საქართველოში. ერთი ამჯერად ციმბირშია, მეორე სად არის ნეტავ? შარშან ბაქოში ვნახე! ფილიპე და სერგო ნამდვილად გარეული არიან ამ საქმეში. მაგრამ ვინ არის მესამე? ფილიპეს და სერგოს ცენტრალური კომიტეტი არ ენდობოდა. ვინ არის მესამე, ვინც ჩემი უარის შემდეგ ეს ბინძური საქმე იკისრა? ქართველს აღარ დაავალებდნენ, აღარ ენდობოდნენ. მგონი ვხვდები, ვინც უნდა იყოს!

### მეორე სცენა

ბაქო. გარეუბანი. მუშათა დასახლება. ოთახში ზის იოსებ ჯულაშვილი. დრო: 1909 წელი.

*(იოსებ ჯულაშვილი მალევე წამოდგება და ფანჯარაში იყურება. ვიღაცას ელოდება. კარებს შემოადებს სახლის პატრონი რუსი და იკითხავს: მოიყვანეს, შემოვიყვანოთ? იოსებ ჯულაშვილი თავს დაუქნევს. ოთახში შემოდის ფილიპე მახარაძე)*

**ფილიპე მახარაძე:** გამარჯობა! სამი დღეა მიბარებ და არ მხვდები დათქმულ ადგილას, ახლა შენი კაცები ორი საათია ბაქოს ქუჩებში დამატარებენ. თუ არ მენდობი, ჩემთან შეხვედრა რაღად ვინდა?

**იოსებ ჯულაშვილი** *(სალამს არ დაუბრუნებს):* კონსპირაციას, იატაკქვეშეთში ცხოვრებას თავისი წესი აქვს, ამ წესის დარღვევა არ შეიძლება. აი, შენ, სერგო ორჯონიკიძემ და ბოგდან კნუნიანცმა ერთხელ დაარღვიეთ ეს წესი და როგორც ვატყობ, სანანებლად გაგინდებათ!

*(ფილიპე მახარაძე მიხვდა, რომ იოსებ ჯულაშვილმა რაღაც იცოდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე ავლაბარში ჩატარებული თათბირის შესახებ, დაიბნა, მაგრამ ისტიბარი არ გაიტეხა).*

**ფილიპე მახარაძე:** რა წესი დავარღვიეთ, ვერ ვხვდები?

**იოსებ ჯულაშვილი:** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რომ დაგეგმეთ, იმ თათბირზე გეუბნები, ჰავლაბარში რომ შეიკრიბეთ შენ, სერგო და ბოგდანი.

**ფილიპე მახარაძე** *(გაფითრდა, შუბლი სულ ოფლით დაეცვარა):* არავითარ თათბირს მე არ დავსწრებივარ, არაფერი ვიცი!

**იოსებ ჯულაშვილი:** მე შეგახსენებ. ბოგდან კნუნიანცი ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და ლენინის ხელმოწერილი ბარათი ჩამოიტანა, ილია ჭავჭავაძე უნდა მოგეკლათ. ეს ბარათი შენი თვალთ ნახე. შენ სერგოზე ცოტა ნაკლები ნაძირალა ხარ, გინდოდა ამ საქმიდან თავი დაგეპყრინა, ილია კი არ გებრალეობოდა, გეშინოდა, ჯულაშვილი რაღაცას იყნოსავსო. მე რე მაინც დაგითანხმეს კნუნიანცმა და ორჯონიკიძემ. ხომ იყო ასე?

**ფილიპე მახარაძე:** კობა! მე...

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევებებს):** იმ ბინის პატრონი, სადაც თქვენ თათბირი ჩატარეთ, ჩემი კაცია. სამწუხაროდ, რაღაც საქმეზე ჩავარდა, თათბირიდან რამდენიმე დღეში დაიჭირეს და გააციმბირეს. მის კვალს ვერ მივაკვლიე. ერთი კვირის წინ ბაქოში ჩამოვიდა, გადასახლებიდან გამოქცეულა. ახლა აქაა, მეორე ოთახში. თუ გინდა შემოვიყვან, ყველაფერი ზეპირად ახსოვს, კარგი მესსიერება ჰქონია.

**ფილიპე მახარაძე:** კობა! არ მინდოდა ამ ბინძურ საქმეში გარევა. ბოგდან კნუნიანცმა და სერგო ორჯონიკიძემ მაიძულეს. გარდა ამისა, რსდმპ ხელმძღვანელობის დავალება იყო!

**იოსებ ჯუღაშვილი:** იცი თუ არა შენ რატომ მოგადგნენ?

**ფილიპე მახარაძე (დაბნეული):** არა, არ ვიცი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** იმიტომ, რომ ნაძირალა ხარ! ვინ ხელმძღვანელობდა 1905 წელს ილიას წინააღმდეგ დაწყებულ ბინძურ კამპანიას? შენი გახეთი „მოგზაური“ იყო სიბინძურის, სიბილწის ბუდე. შენ, ივანე ნაცვლიშვილი, შალვა შარაშიძე და ნესტორ კალანდაძე წამლავლით საზოგადოებას!

**ფილიპე მახარაძე:** კობა ...

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევებებს):** ხმა ჩაიწყვიტე! სერგო ორჯონიკიძე სულელი და უწიგნურია. საკვირველი არაფერია იმაში, რომ მაგის ჯილაგის კაცმა არ იცოდეს, ვინ არის ილია ქართველი ერისათვის. შენ, შენ ხომ მთელი სიცოცხლე კითხვასა და ჯღაბნაში გაატარე, შენ ხომ იცი, ვისაც კლავდით! შენ ხომ იცოდი, რომ ილიას სისხლს ქართველი ერი ასე უბრალოდ არავის აპატიებს!

**ფილიპე მახარაძე:** კობა ...

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევებებს):** როცა გაიგე, რომ მე უარი ვთქვი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებაზე, როგორ გაბედე და ამ ბინძურ საქმეს ხელი მოჰკიდე? მაგარი ბიჭი ხარ, არა, ჩემზე მაგარი, ხომ? ჩემზე მეტად შეგტკივა გული რევოლუციაზე, სოციალიზმზე? მოკალით ილია და რას მიაღწიეთ? სამშობლოდან გადმოსხვეწილი აგდისხარ აქ, ბაქოში. მთლად უჭკუო არ ყოფილხარ, რადგან მიხვდი, რომ საქართველოში შენი ყოფნა აღარ შეიძლებოდა. ნაძირალა ხარ შენ, ფილიპე, და შენისთანები საშიშნი არიან ყველგან, ყველა დროში!

**ფილიპე მახარაძე:** კობა ....

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევებებს):** ახლა მისმინე! დაფიქრდი და მიპასუხე, ტყუილი არ გაბედო!

**ფილიპე მახარაძე (სულ მთლად გატეხილი):** გისმენ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ილიას მკვლელობის ორგანიზატორები შენ და სერგო ორჯონიკიძე იყავით, თუ იყო კიდევ ვინმე?

**ფილიპე მახარაძე:** არავინ, ჩვენ ვიყავით. ბოგდანმა გვითხრა, მეტი არავინ გარიოთო.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ იზრუნა დიმიტრი ჯაშის ილიას მოურავად მოწყობაზე?

**ფილიპე მახარაძე:** მე ვიზრუნე, მაგრამ ეგ ადრე იყო, სანამ მკვლელობის გადაწყვეტილებას მივიღებდით.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ დაგაგადა?

**ფილიპე მახარაძე:** ბოგდანმა მითხრა, ილიას წინააღმდეგ გლეხების აბუნტებაში მოგეხმარებო. ილიას მოკვლაზე მაშინ სიტყვა არ დაუძრავს.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ მოაკვლევინა ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი?

**ფილიპე მახარაძე:** ამის გარეშე დიმიტრი ჯაშს მოურავად ვერ მოვაწყობდით.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ მოკლა ილიას მოურავი?

**ფილიპე მახარაძე:** პავლე ფშავლიშვილმა და კიდევ ერთმა, გვარი არ მახსოვს.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ შეადგინა ტერორისტების ჯგუფი და ვინ ჩაუსაფრა გზაზე ილიას?

**ფილიპე მახარაძე:** დიმიტრი ჯაშმა და ლავრენტი ასათიანმა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ აძლედა მითითებებს ჯაშს და ასათიანს?

**ფილიპე მახარაძე:** მე ვაძლევი.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ შეარჩია ის ტერორისტი, ვისი გასროლილი ტყვიითაც ილია დაიღუპა?

**ფილიპე მახარაძე:** სერგომ.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვინ არის „ვიღაც იმერელი“?

**ფილიპე მახარაძე:** არ ვიცი. შეიძლება იყოს სერგო ორჯონიკიძე, შეიძლება არა. მკვლელობის დროს მე თბილისში ვიყავი, სერგო – მცხეთაში, დუქანში უნდა მჯდარიყო. შეიძლება სულმა წასძლია და წიწამურში ავიდა, არ ვიცი.

**იოსებ ჯუღაშვილი:** სოფელ ბახვში თათბირი იყო თუ არა?

**ფილიპე მახარაძე:** არა, მე მოვიგონე.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ესე იგი ალექსანდრე გრეკოვის ჩვენება ტყუილია?

**ფილიპე მახარაძე:** ტყუილია. ტექსტი მე შევადგინე და გრეკოვს გადასცეს.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ფილიპე! ვინც შენ აქ მოგიყვანა, მას შეუძლიათ მოგკლას და შენი გვამი ზღვაში გადააგდოს. იცი შენ, მე ეს არ გამოჭირდება! იგივე ბედი შეიძლება ეწიოს სერგოსაც, მაგრამ თქვენს მოკვლას ახლა აზრი არა აქვს, ვერავინ გაიგებს, ვინ და რისთვის მოგკლათ. თქვენ, ორივენი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ბრალდებით უნდა გაგასამართლონ! აი, ამიტომ გიშვებ ცოცხალს! *(იოსებ ჯუღაშვილი დაუმშვიდობებლად, სწრაფი ნაბიჯით სტოვებს ოთახს. ფილიპე მახარაძე მარტო რჩება. ოთახში ბნელდება).*

## მესამე სცენა

ვენა. გაზეთ „პრაგდის“ რედაქცია. რედაქტორის კაბინეტი. მაგიდასთან ზის ლევ ტროცკი და ხელნაწერს კითხულობს. დრო: 1913 წლის დამდეგი.

*(რედაქტორის კაბინეტის კარს შემოადებს მდივანი ქალი. ლევ ტროცკი თავს აიღებს).*

**მდივანი:** ლევ დავიდოვიჩ! დიდი ხანია ვიღაც კავკასიელი გელოდებოდა!

*(მოულოდნელად მდივანს გვერდს აუვლის, კაბინეტში შემოვა და პირდაპირ რედაქტორის მაგიდის წინ შედგება იოსებ ჯულაშვილი).*

**იოსებ ჯულაშვილი:** ვიღაც კი არა, სოციალ-დემოკრატი ვარ, რსდმპ წევრი, თანაც არა კავკასიელი, არამედ ქართველი. გამარჯობათ ლევ დავიდოვიჩ!

*(უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მდივანი კარს გაიხურავს).*

**ლევ ტროცკი** *(დაბნეული წამოდგება და ხელს გაუწვდის იოსებ ჯულაშვილს):* გამარჯობათ, დაბრძანდით!

**იოსებ ჯულაშვილი:** ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენმა მდივანმა უკვე ერთი საათი დამაკარგვინა!

**ლევ ტროცკი:** ნუ გვიწყენთ, ხომ იცით, ჩვენ, ემიგრანტებს, ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლება არ გვღებინს, მაგრამ რუსეთის ჟანდარმერია და ოხრანკა არც აქ გვასვენებს, ვფრთხილობთ. ჩვენთან მხოლოდ რეკომენდაციით მოდიან, წინასწარ გვაფრთხილებენ.

**იოსებ ჯულაშვილი:** აი, ეს კი ვერ წარმოძვდინა!

**ლევ ტროცკი:** თქვენ ვისი რეკომენდაციით მობრძანდით, ვერ ვიხსენებ!

**იოსებ ჯულაშვილი:** ჩემთვის რეკომენდაცია არავის არ გაუწევია, რეკომენდაციის გარეშე გაახელით!

**ლევ ტროცკი:** რომელ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობთ, რსდმპ ხელმძღვანელობა რომელი ფსევდონიმით გიცნობთ? ალბათ, ხვდებით, რატომ გეკითხებით ამას?

**იოსებ ჯულაშვილი:** გასაგებია. 1907 წელს რსდმპ ლონდონის ყრილობის ოქმებში მე „ივანოვიჩის“ გვარით ვიხსენიები. უფრო ადრე „კობას“ ფსევდონიმით ვწერდი.

**ლევ ტროცკი:** აი, ახლა შეიძლება ვისაუბროთ. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს. რა ვქნათ, რამდენიმე წლის წინ ლენინის დოყლაპიობით „პრაგდის“ რედაქციაში ჟანდარმერიის აგენტი შემოგვაპარეს, ამიტომ ვფრთხილობთ!

**იოსებ ჯულაშვილი:** იყოს ლენინი დოყლაპია, მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ლენინმა ვინმეს უთხრას: ტროცკის დოყლაპიობით „პრაგდის“ რედაქცია ჟანდარმერიის აგენტებით გაიგსო!

**ლევ ტროცკი** *(აღშფოთებული):* თქვენ ნუ ეხუმრებით რუსეთის ჟანდარმერიასა და და ოხრანკას! ეკონიათ ოდესმე მათთან საქმე?

**იოსებ ჯულაშვილი:** მქონია, მქონია! ოთხჯერ დამაპატიმრეს, გამასამართლეს, გადამასახლეს, მაგრამ ოთხჯერვე გამოვიქეცი გადასახლებიდან. იმ ჟანდარმებსა და ოხრანკისტებს გამოვექეცი,

შენ და შენს მდივანს შიშის ზარს რომ გცემენ აქ, ვენაში, ევროპის ცენტრში! მეხუთედაც რომ დამაპატიმრონ, ისევ გამოვიქცევი და იცით, რატომ?

**ლევ ტროცკი (გალიზიანებულს):** რატომ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** იმიტომ, რომ დოყლაპიები არიან ყველანი: ნიკოლოზ II, მისი მინისტრები, ჟანდარმები და ოხრანისტები!

**ლევ ტროცკი (აღშფოთებულს):** მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატია, რევოლუციონერები ციხეებსა და კატორღაში იტანჯებიან...

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევებინებს):** ისინიც დოყლაპიები არიან, ჟანდარმებსა და ოხრანისტებზე უფრო მეტად დოყლაპიები. მოიკალათეს ციმბირის მიყრუებულ სოფლებში. ეს სულელი ნიკოლოზი შეძლებული გლეხების ოჯახებში ასახლებს მსჯავრდებულ რევოლუციონერებს. გლეხის ცოლი საჭმელს უშზადებს, ტანსაცმელსაც კი ურცხავს, უვლის, ერთი სიტყვით. ყოველივე ამისათვის კი გლეხს ფულს სახელმწიფო უხდის. აი, ამიტომ არ გამოიბიან გადასახლებიდან შენი ამხანაგები! იქ მშვიდი, უზრუნველი ცხოვრებაა, ვერ მიუტოვებიათ იქაური ლამაზი ქალები! დაიდალნენ ვაჟბატონები, დასვენება მოუნდათ!

**ლევ ტროცკი (უკმაყოფილოდ):** ვერ გამოგია, ამის სათქმელად ჩამოხვედით ვენაში?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ცხადია, არა! მე ნაშრომი მოგიტანეთ, მინდა „პრავდაში“ დაიბეჭდოს!

**ლევ ტროცკი (ოდნავ დამშვიდდება):** რას ეხება თქვენი ნაშრომი?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ეროვნულ საკითხს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი, ეროვნული საკითხის გადაჭრის გზებს.

**ლევ ტროცკი (ისევ აღშფოთდება):** იცით თუ არა თქვენ, რომ ამ პრობლემას საჭკვენოდ ცნობილი მეცნიერები და პოლიტიკოსები შეეჭიდნენ და ბოლომდე ვერ გადაჭრეს. შეიძლება ითქვას, ეს საკითხი ახლა ჩიხშია შესული. შეძლებთ თქვენ ამ პრობლემის გადაჭრას?

**იოსებ ჯუღაშვილი (მშვიდად):** თუ ღმერთი შემეწევა, ღორი ვერ შემჭამს!

**ლევ ტროცკი (თავს ძლივს იკავეს):** ღორი რატომ ახსენეთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ისე, სიტყვამ მოიტანა. არ უყვართ ღორი საქართველოში. აი, ვირი, რომ ვირია, ისიც კი ღორზე წინ დგას. ეგ კი არა და, თხა და ცხვარიც კი ღორზე წინ დგას ჩვენში.

**ლევ ტროცკი (გალიზიანებულს):** ნეტავ საერთოდ არ მოვსულიყავი დღეს რედაქციაში!

**იოსებ ჯუღაშვილი:** მაინც გიპოვიდით.

**ლევ ტროცკი (გაკვირვებულს):** როგორ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** გუშინწინ თქვენ ვენის ოპერაში ბრძანდებოდით, გუშინ დილით ნიკოლაი ბუხარინს შეხვდით პარკში, არაღეგალურადაა ჩამოსული ვენაში, საღამო ხანს ისევ პარკში სეირნობდით.

**ლევ ტროცკი:** შენისთანა გადასახლებიდან კი არა, ჯოჯოხეთიდანაც გამოიქცეოდა!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჯოჯოხეთიდან ჯერ არავინ გამოიქცეულა, ნუ იჩქარებთ იქ მოხვედრას. აი, მე არ ეჩქარობ!

**ლევ ტროცკი (იღიმება):** მაინც არ აგცდება, ადრე იქნება თუ გვიან!

**იოსებ ჯუღაშვილი (ირონით):** ვინ იცის, შეიძლება ასეც იყოს! არ გაგიკვირდეს, რომ იქაც ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდეთ!

**ლევ ტროცკი:** კარგით! ხელნაწერი მომეცით (იოსებ ჯუღაშვილი ხელნაწერს მიაწვდის. ლევ ტროცკი რამდენიმე გვერდს წაიკითხავს და თავს აიღებს). რუსული სად ისწავლეთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. კარგი მასწავლებლები მყავდა.

**ლევ ტროცკი** (*კიდევ რამდენიმე გვერდს წაიკითხავს*): ასე ლაკონურად, ლოგიკურად და გასაგებად დაწერილი იშვიათად მინახავს რაიმე. გეტყობათ, სასულიერო სემინარია რომ გაქვთ დამთავრებული.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ოთხი კლასი დავამთავრე, შემდეგ სწავლის ქირა ვეღარ გადავიხადე და სემინარიიდან გამოვედი.

**ლევ ტროცკი:** მართლა ოთხჯერ გამოიქეცით გადასახლებიდან?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ოთხჯერ!

**ლევ ტროცკი:** რამდენი წელია არაღვებულურად ცხოვრობთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** 1899 წლიდან.

**ლევ ტროცკი:** და სულ რუსეთში?

**იოსებ ჯუღაშვილი:** სულ რუსეთში, პირველად ვარ საზღვარგარეთ.

**ლევ ტროცკი:** ნაშრომი ეტყობა კარგია, მაგრამ ვერ დავებუჭლავ, დიდია. პრაქტიკულად ეს მეცნიერული გამოკვლევაა. ნიკოლაი ბუხარინმა ხელისუფლებისაგან ნებართვა აიღო და ლეგალურ ჟურნალს „პროსვეშენიეს“ სცემს პეტერბურგში. თქვენი ნაშრომი მთელმა რუსეთმა უნდა წაიკითხოს, „პრავდა“ კი რამდენიმე ასეული ცალი იბეჭდება და რუსეთში ძნელად ვრცელდება. „პროსვეშენიე“ ხედგამოჭრილია თქვენთვის! ბუხარინთან სარეკომენდაციო ბარათს მე გაგატანთ, არ მოგერიდოს.

**იოსებ ჯუღაშვილი:** მადლობელი დაგირჩებით!

**ლევ ტროცკი:** პეტერბურგში „პროსვეშენიეს“ რედაქციის პოვნა არ გაგიჭირდებათ, თუ მანამდე დოკლავია უნდარმებმა არ დაგაპატიმრეს!

**იოსებ ჯუღაშვილი** (იცინის): შეიძლება ასეც მოხდეს. კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

**ლევ ტროცკი:** იმედია! (ლევ ტროცკი წამოდგება, იოსებ ჯუღაშვილი ხელს ჩამოართმევს და გადის).

## მეოთხე სცენა

ციმბირი. პოლიტპატიმრები ბრუნდებიან გადასახლების ადგილებიდან. მატარებლის კუპეში ზის იოსებ ჯუღაშვილი. დრო: 1917 წლის მარტი.

*(კუპის კარები იღება და შემოდის გრძელი თეთრი წვერით შემოსილი მოხუცი. მოხუცი იოსებ ჯუღაშვილს მიესალმება. იოსებ ჯუღაშვილი თავს აიღებს და შემოსულს დააკვირდება).*

**იოსებ ჯუღაშვილი** (*გაკვირვებული*): მამა იოანე?! თქვენ აქ რა გინდათ, მამაო!

**მამა იოანე:** დიდება უფაღს! (*პაუზის შემდეგ*) ჭკვიანი კაცი იყო ნიკოლოზ II, ღვთისმსახური და რევოლუციონერი ერთად ჰყავდა გადასახლებული! აი, შეხვედრა! (*ერთმანეთს გადაეხვევიან*).

**იოსებ ჯუღაშვილი:** რისთვის გადმოგასახლეს მამა იოანე? თქვენ რაღა დააშავეთ?

**მამა იოანე:** გახსოვს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მახსოვს!

**მამა იოანე:** გახსოვს, რომ გითხარი: ქვეყანაში ყოველთვის საქართველოს, ჩვენს ბედკრულ სამშობლოს ვგულისხმობ-მეთქი?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მახსოვს!

**მამა იოანე:** ჰოდა, იმიტომაც გადმომასახლეს!

**იოსებ ჯუღაშვილი:** მაშინ მთელი საქართველო უნდა გაეციმბირებინათ!

**მამა იოანე:** ჩემი საქმე ასე იყო, შვილო. ავტოკეფალიზტებს დაუჭირე მხარი, სემინარია დამატოვებინეს, ცოტა ხანს დიდუბის ეკლესიაში გამამწესეს, მერე კი ზემო იმერეთში, ერთ-ერთ სოფელში. ეკლესიაში დიაკვანი დამხვდა, მღვდელი გარდაცვლილიყო. შევეუდექით მსახურებას. შფოთიანი დრო იყო, ძნელი იყო მსახურება, მრევლი შემცირდა. სოფელში ჯარი და პოლიცია ჩააყენეს, ხალხი გარეთ გამოსვლას ერიდებოდა, ეკლესიაში ვინდა მოვიდოდა! 1907 წელს შობის წირვამ მშვიდობიანად ჩაიარა. მესამე დღეს, დილით, ეკლესიაში მოვედი და რას ვხედავ: ეკლესიის კედელზე და გალავანზე პროკლამაციები გაეკრათ, ერთი დასტა ეკლესიის ეზოში მიმოებნიათ იმ ქრისტეს ფეხისმკაშელებს. ხელისუფლებამ შეიტყო ეს ამბავი, დაგვაპატიმრეს მე და დიაკვანი, გაგვასამართლეს და ციმბირში გვიკრეს თავი.

**იოსებ ჯუღაშვილი:** დიაკვანი სადაა?

**მამა იოანე:** ერთი კვირის წინ გარდაიცვალა, ვერ გაუძლო აქაურ ჰავას, სულ ავადმყოფობდა, აქ დავასაფლავე. ღმერთო, დაუშკვიდრე სასუფეველი! (*პირჯვარს გადაიხახავს*). თუ ღმერთი შემეწია, ორმოცს მის მშობლიურ სოფელში გადავუხხდი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ღვთისნიერი ადამიანი ხარ, მამა იოანე! გადასახლებაზეც ვერ გაბტყხა.

**მამა იოანე:** შენი ამბავი მესმოდა, შვილო იოსებ, მერე დაგკარგე შენი კვალი, სად იყავი, რას იქმოდი?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მამა იოანე! მე გადავწყვიტე, უსამართლობასა და ძალმომრეობას ისევ ძალმომრეობის გზით ვებრძოლო. სხვა გზა ვერ დავინახე. ბოროტება მახვილით უნდა ამოიკვეთოს, უნდა გაისრისოს, განადგურდეს. ამას შეეწირე ეს წლები. ოთხჯერ გავიქეცი გადასახლებიდან, ახლა მეხუთე გადასახლებიდან ვბრუნდები.

**მამა იოანე:** როდის გააკეთე ასეთი არჩევანი?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას ჯერ კიდევ ვფიქრობდი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაღე მივიღე.

**მამა იოანე:** იმიტომაც აღარ შემომიარე!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასე იყო! ილია ჭავჭავაძესთანაც იმიტომ აღარ მივედი.

**მამა იოანე:** მე ვაღაფრებული ვარ გითხრა: სატანის გზაა ეგ, შვილო! სატანის ზეიმი იყო 1905-1907 წლების ამბებიც. ძალმომრეობა ახალ ძალმომრეობას ბადებს და ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** მე სხვა გზას ვერ ვხედავ, მე ამ გზით უნდა ვიარო!

**მამა იოანე:** შვილო იოსებ! ღმერთის გწამს?

**იოსებ ჯუღაშვილი:** რატომ მეკითხები, მამაო?

**მამა იოანე:** თუ ოდესმე მიხვდე, რომ სატანის გზით იარე, მოინანიე, მოინანიე და ღმერთის სულგრძელობის იმედი გქონდეს (*ჯვარს გადაიხახავს*). ახლა კი სადამოს ლოცვაზე უნდა დაგდგე, შემდეგ ვისაუბროთ (*მამა იოანე ლოცვას იწყებს. იოსებ ჯუღაშვილი ფანჯარაში იყურება*).

მეხუთე სცენა

პეტროგრადი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რეზიზენცია. ოთახში სხედან იოსებ ჯუღაშვილი და ფელიქს ძერჟინსკი. დრო: 1917 წლის აპრილი.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ფელიქს ედმუნდოვიჩ! ხედავ, რას ბოდავს ვლადიმერ ილიჩი! რა ემართება ამ ხალხს, არ ვიცი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ვერ მიმხვდარა, რა მოხდა რუსეთში 1917 წლის თებერვალ-მარტში; ვერ მიმხვდარა, რომ ახლა 1905 წელი აღარაა; ვერ მიმხვდარა, რომ რუსეთი ჩაბმულია მსოფლიო ომში და აგებს ამ ომს, რომ აღარ არსებობს არმია; და ბოლოს, ვერ მიმხვდარა, რომ ომისგან განაწამებ რუს მუშას და გლეხს, რუს ინტელიგენტს ფეხებზე ჰკიდია ყველა პოლიტიკური პარტია და სულაც არ აინტერესებს, რას ლაყბობენ ამ პარტიათა ლიდერები! ხალხს უნდა მშვიდობა და მისთვის გაუგებარია, რა განსხვავებაა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის, რას ნიშნავს რევოლუციის მომწიფება და კიდევ ათასი სისულელე! სწორია პლექსანოვი, ლენინის გამოსვლებს ბოდავს რომ უწოდებს. გამოთავყვანებულია ტროცკიც! რაღაცას მიედ-მოედება. ლენინმა და ტროცკიმ ვერ მოიშადეს გაუთავებელი ზოგადთეორიული ლაყბობა. მომწინდა ამდენი სისულელის მოსმენა!

**ფელიქს ძერჟინსკი:** ლენინსა და ტროცკის ჩვევად ექვათ ერთმანეთის საწინააღმდეგოს მტკიცება, ერთმანეთის ლანძღვა. ისინი ვერ შერიგდებიან.

**იოსებ ჯუღაშვილი:** არ შერიგდებიან!

**ფელიქს ძერჟინსკი:** სწორედ ეგ მინდოდა მეტყვა. არ გეჩვენება, რომ გრიგორი ზინოვიევი, ლევ კამენევი და ნიკოლაი ბუხარინი ძალზე გაღიზიანდნენ ლენინისა და ტროცკის თავხედობით? ვფიქრობ, ისინი ცალკე გაიწვევენ.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასე იქნება. ლენინსა და ტროცკის ვერავინ აიტანს, ეს შეუძლებელია. ლენინის ატანა კიდევ უფრო შეუძლებელი გახდება. წედან სამი საათი ვესაუბრე, ცხრაჯერ გავუმეორე ერთი და იგივე, მეგონა დავარწმუნე, რომ ცდება და ბოლოს იგივე სისულელე გაიმეორა, რითაც დაიწყო.

**ფელიქს ძერჟინსკი:** ზინოვიევს, კამენევსა და ბუხარინს თუ შეხვდი?

**იოსებ ჯუღაშვილი** (*ხელს ჩაიქნევს*): რა აზრი აქვს? ზინოვიევი ნადირალაა და, ამავე დროს, უწიგნური; კამენევს პოლიტიკისა არა გაეგება რა, თავისი მოწოდებით კანტორის მოხელეა; ბუხარინი მეოცნებეა, ნებისმიერ დროს შეუძლია დიდი სისულელე ჩაიდინოს. ამათ რომ ვუყურებ, გული მერევა. ნეტავი დავრჩენილიყავი ციმბირში, მყუდრო ცხოვრება მაინც მქონდა!

**ფელიქს ძერჟინსკი** (*იცინის*): დაბრუნდი მერე, ვინ გიშლის? ან შენს მშობლიურ საქართველოს მიაშურე!

**იოსებ ჯუღაშვილი:** და ნოე ჟორდანიასთან პოლემიკაში გაგატარო დარჩენილი ცხოვრება, არა?

**ფელიქს ძერჟინსკი:** ჰო, მართლა! კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. რა აზრისა ხარ მათზე?

**იოსებ ჯუღაშვილი:** როგორ ამბობს ნიკოლაი გოგოლი? იქ ყველაზე პატიოსანი კაცი პროკურორია, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისიც დიდი ღორია! აი, ასეა საქმე. ჩხეიძე და წერეთელი გამოცდილი პოლიტიკოსები, ნიჭიერი ხალხია, ლენინი მათთან შედარებით არარაობაა, მაგრამ როდემდე აიტანენ ქართველებს რუსები?

**ფელიქს ძერჟინსკი:** მე ასეთ კითხვას დავსვამდი: როდემდე აიტანენ რუსები იოსებ ჯუღაშვილსა და ფელიქს ძერჟინსკის?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჭკვიანი კაცი ხარ, ფელიქს ედმუნდოვიჩ! მიხვდი არა, რისთვისაც წამოვიწყე ეს საუბარი?

**ფელიქს ძერჟინსკი:** დაახლოებით!

**იოსებ ჯუღაშვილი (ხმას დაუწევს):** ფელიქს! რომანოვებმა რუსეთს ვერ უპატრონეს, დაღუპეს ქვეყანა. ვერც რევოლუციამ გაუჩინა რუსეთს პატრონი. არც ერთი პოლიტიკური პარტია რეალურ ძალას არ წარმოადგენს, არმია აღარ არსებობს, გენერალიტეტი არმიის გარეშე არარაობად იქცა. ერთი სიტყვით, შენც ატყობ, სრული ქაოსია, უპატრონოდ დარჩა ქვეყანა! გერმანელებს შეუძლიათ ერთ თვეში დაიკავონ პეტროგრადიც და მოსკოვიც, თუ ეს მოინდომეს. ყური დამიგდე, ლენინის ჭკუაზე მოყვანა შეუძლებელია. სწორედ მაგაზეა ნათქვამი: გიჟი დაჭკვიანდება, სულელს არა ეშველება რაო! ამოვიდა ყელში მისი უაზრო ფრაზები: „რევოლუციის მომწიფება“, „რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი“, „მასების მხარდაჭერა“. ფელიქს! არავითარი რევოლუცია, არავითარი მასების მხარდაჭერა! რაც შეიძლება მალე სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოხდეს და ძალაუფლება ვიგდოთ ხელთ! რუსეთს პატრონი სჭირდება და არა მოლაყბე პარლამენტი და უსუსური მთავრობა. ახალი რევოლუცია არაფერს მოიტანს, არაფერს გაარკვევს. რუსეთის ხსნა სახელმწიფო გადატრიალებაშია! ძლიერი, მკაცრი, დაუნდობელი ხელისუფლება იხსნის რუსეთს! ამ საქმეს ძლიერი და ნიჭიერი წინამძღოლი, ბელადი სჭირდება. დღეს არცერთ პარტიას ასეთი ბელადი არა ჰყავს, ესეც რუსეთის ტრაგედიაა!

**ფელიქს ძერჟინსკი:** მაშ, რა გვეშველება, გამოსავალს რაში ხედავ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** როცა ნამდვილი, ღირსეული ბელადი არ ჩანს, მაშინ ასპარეზზე გამოდის ცრუ ბელადი, თვითმარქვია. იყოს ლენინი ცრუ ბელადი, იყოს მისი კონკურენტი, ცრუ ბელადი – ტროცკიც. ეს საქმეს ხელს არ შეუშლის. იყვნენ პატარა ცრუ ბელადები: ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი. ესენიც ვერ შეუშლიან ხელს საქმეს. დაე, ისუღელონ ამ ჯამბაზებმა, ჩვენ კი ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ!

**ფელიქს ძერჟინსკი (ცოტა დაბნეული, გაოცებული):** რა საქმე, ვერ გავიგე?

**იოსებ ჯუღაშვილი:** სახელმწიფო გადატრიალება უნდა განვახორციელოთ, ძალაუფლება უნდა ჩავიგდოთ ხელში, რუსეთი უნდა ვიხსნათ!

**ფელიქს ძერჟინსკი (ხაფიქრებული):** ძნელი საქმეა, არ ვიცი როგორ გამოვა, მე და შენ რა ძალას წარმოვადგენთ, შენ – ქართველი, მე – პოლონელი, შეგვჭამენ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ამიტომ ყველაფერი ცრუ ბელადის ლენინისა და თუნდაც იმ ნაძირალა ტროცკის სახელით უნდა ვაკეთდეს, ჩვენ არ უნდა გამოვჩნდეთ.

**ფელიქს ძერჟინსკი:** როგორ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** აი, როგორ: რამდენიმე კვირაში რუსეთში დიდი პოლიტიკური კრიზისია მოსალოდნელი. ლენინი და ტროცკი უნდა დავარწმუნოთ, რომ თუ სახელმწიფო გადატრიალებას არ განვახორციელებთ, სამხედროები აიღებენ ძალაუფლებას და ყველას გაგვწყუავენ. ლენინი შეშინდება და ვფიქრობ დაგვეთანხმება. ან უნდა დაგვეთანხმოს, ან სახრჩობელაზე ასასვლელად მოემზადოს. სამხედროები ლენინს გერმანიის გენერალურ შტაბთან თანამშრომლობას არ აპატიებენ, პირველივე ბოძზე ჩამოკიდებენ. ეს ლენინმა კარგად იცის, ამიტომაც ეშინია

სამხედროების, ამიტომ უნდა, ისედაც დაშლილი არმია სულ მთლად დაშალოს. არც ტროცკია დიდი ვაჟკაცი, ისიც შეშინდება.

**ფელიქს ძერჟინსკი:** კი მაგრამ გადატრიალება ადვილი საქმე ხომ არ არის!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ცდები! არც ისე ძნელია. ორი-სამი ათასი ჯარისკაცი და მეზღვაური საკმარისია. ამას გარდა, ოთხი-ხუთი ათასი მუშა თუ მივიმხრეთ, დროებითი მთავრობა გაქცევასაც ვერ მოასწრებს. მთავარია პეტროგრადსა და მოსკოვში მივაღწიოთ წარმატებას, დანარჩენი რუსეთი მხარს დაგვიჭერს. ქვეყანაში, რომელსაც არმია არა ჰყავს, სადაც ჟანდარმერია და პოლიცია დარბეულია, ხელისუფლების დაპყრობა არც ისე ძნელია, შენ რომ გეჩვენება. თუ გენერალიტეტმა არმიაში წესრიგი აღადგინა, აი, მაშინ კი ფიქრიც აღარ შეიძლება სახელმწიფო გადატრიალებაზე, ყველაფერი დამთავრდება, სამხედროები არავის დაინდობენ!

**ფელიქს ძერჟინსკი:** მე რა უნდა გავაკეთო?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჯერჯერობით ერთი რამ: საიმედო ხალხს უნდა მოუყარო თავი, კონკრეტულად არავის არაფერი გაანდო! და კიდევ ერთი რამ (*იცინის*): ჩვენ ლენინის მომხრეები ვართ და ველოდებით, როდის მომწიფდება რევოლუცია, როდის გვეტყვიან სოციალიზმზე შეყვარებული მუშები: მობრძანდით, ძალაუფლება აიღეთო! (*ორივენი საუბრით გადიან*)

## მექვსე სცენა

პეტროგრადი. პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატთა საბჭოს რეზიდენცია. საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში მაგიდასთან ზის კარლო ჩხეიძე. დრო: 1917 წლის მაისი.

(*კაბინეტში შემოდის იოსებ ჯუღაშვილი*).

**იოსებ ჯუღაშვილი:** გამარჯობა, კარლო!

**კარლო ჩხეიძე** (*აშკარად არ ესიამოვნა იოსებ ჯუღაშვილის დანახვას*): გაგიმარჯოს, დაბრძანდით!

**იოსებ ჯუღაშვილი** (*სავარძელში ჩაეშვება*): ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა მოგკლაპარაკოთ, გცალიათ? თუ დაკავებული ხართ, მერე შემოგივლით.

**კარლო ჩხეიძე:** არა, არა, გისმენთ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** მგონი, დამეთანხმებით, რომ 1917 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებს, რევოლუციას, არც მენშევიკები და არც ბოლშევიკები არ ველოდით, ჩვენი ჩარევის გარეშე მოხდა!

**კარლო ჩხეიძე:** კობა, შენ დიდი ხნის განმავლობაში გადასახლებაში იყავი, ისევე, როგორც ირაკლი წერეთელი, კარგად არ იცი, რა ხდებოდა რუსეთში 1914-1917 წლებში. მე ვიცნობ ყველა შენს წერილს, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაბეჭდვ. კარგი წერილებია, მაგრამ გვერდს უვლი საკითხს – როგორ მივედით ჩვენ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე. ჩვენ, მენშევიკები, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავით, სათათბირო იყო ოპოზიციური მოძრაობის ცენტრი. ჩვენ ველოდით რევოლუციას, ვიცოდით, რაც მოხდებოდა!

**იოსებ ჯუღაშვილი** (*ოდნავ გაბრაზებული*): კარლო! მე მენშევიკების და ბოლშევიკების დავის გასარკვევად არ მოვსულვარ. ძალიან ბევრს ნუ აიღებ შენს თავზე, ნუ დაგავიწყდება, რომ

რევოლუციას ამზადებდნენ კადეტებიცა და ესერებიც, საერთოდ, ოპოზიციური ძალები! მე იმას ვამბობ, რომ რევოლუცია მოულოდნელად მოხდა, ყველასათვის მოულოდნელად!

**კარლო ჩხეიძე:** ამას არავინ უარყოფს, არც მე, არც ირაკლი წერეთელი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ძალიან კარგი!

**კარლო ჩხეიძე:** კობა! შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მებრძოლი, უშიშარი, კალამი გიჭრის, ამიტომაც ვერ გამიგია, რა გესაქმება ლენინთან, გერმანიის გენერალური შტაბის მიერ მოსყიდულ აგენტთან? გუშინ ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და ერთბაშად ლიდერობა მოინდომა, არავის არაფრად აგდებს. შეუძლებელია ასეთ ადამიანთან თანამშრომლობა!

**იოსებ ჯუღაშვილი:** მე ლენინის ადვოკატი არა ვარ! მე ჩემი მრწამსი, ჩემი მიზანი მაქვს. გარდა ამისა, შენ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ კადეტებზეც და ოკტიაბრისტებზეც ამბობენ, ინგლისის აგენტები არიანო, მილიუკოვი და გუჩკოვი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების დაკვეთას ასრულებენო .. ყველაზე რაღაცას ამბობენ.

**კარლო ჩხეიძე:** ჩემზე რას ამბობენ?

**იოსებ ჯუღაშვილი (იცინის):** პატიოსანი და ჭკვიანი კაცია, ამიტომ მალე ჩამოაცილებენ ხელისუფლებას, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის აგენტები ვერ აიტანენო!

**კარლო ჩხეიძე:** შენ ჩემთან ამის სათქმელად არ მოხვიდოდი!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ხომ გითხარი, ასე ამბობენ, კარლო ჩხეიძე ჭკვიანი და პატიოსანი კაციაო!

**კარლო ჩხეიძე:** კობა, ჩქარა მითხარი, საბჭოს სხდომა იწყება!

**იოსებ ჯუღაშვილი (სერიოზულ სახეს მიიღებს):** კარლო! მალე რუსეთში სერიოზული პოლიტიკური კრიზისი დაიწყება, რაც შეიძლება სამხედრო დიქტატურის დამყარებით დამთავრდეს. თუ ეს მოხდა, სოციალ-დემოკრატები, კადეტები და ესერები, უკეთეს შემთხვევაში, ციხეში აღმოჩნდებიან. შეიძლება მოხდეს უარესი: რუსეთი გერმანიამ დაიპყროს. არმია აღარ არსებობს, ფრონტს ვერ დავიჭერთ. ჩვენი საქმე ამ შემთხვევაშიც წასულია.

**კარლო ჩხეიძე:** ჩვენ მზად ვართ დავიცვათ რევოლუციის მონაპოვარი, ჩვენ ვერც სამხედროები შეგვაშინებენ და ვერც გერმანელები!

**იოსებ ჯუღაშვილი:** კარლო! არმია დაიშალა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა უზარმაზარი მასა უმართავ ძალად იქცა. ვისი იმედი გაქვს?

**კარლო ჩხეიძე:** რევოლუციური მუშებისა და მეზღვაურებისა, ხალხის!

**იოსებ ჯუღაშვილი:** გერმანიის ხუთი დივიზია საკმარისია პეტროგრადისა და მოსკოვის დასაკავებლად. დამიჯერე, რევოლუციური მუშები და მეზღვაურები არ წარმოადგენენ იმ ძალას, რეგულარული არმიის შეტევას რომ შეაჩერებს. შეიძლება ყველაფერი ძალიან სწრაფად, რამდენიმე დღეში გადაწყდეს!

**კარლო ჩხეიძე:** კობა!...

**იოსებ ჯუღაშვილი (აწვევტინებს):** დამაცადე, მათქმევინე! პირველ რიგში, სერიოზული საფრთხე გენერალიტეტიდან, სამხედროებიდან გველის. როგორ ფიქრობ, ამდენი გენერალი, ამდენი ოფიცერი გულზე დაიკრეფს ხელებს და მაყურებლის როლში დარჩება? თუ გიფიქრია იმაზე, რამდენი ათასი ოფიცერია რუსეთში, თუ გიფიქრია იმაზე, რომ ისინი ჩვენი დაუძინებელი მტრები არიან. კარლო! გენერლები გონს მოვლენ და დაიწყებენ საიმედო სამხედრო ნაწილების თავმოყრას, კაზაკთა ჯარი მათი დასაყრდენი გახდება. ეს დიდი ძალაა, ჩვენ რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ მას?

**კარლო ჩხეიძე** (დაფიქრებით): რევოლუციას დაცვა სჭირდება, არ გეკამათები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ დავიცავთ რევოლუციას!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ვერ დავიცავთ!

**კარლო ჩხეიძე:** მაშ, რა ვქნათ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** კარლო! ახლა რაც არ უნდა გითხრა, მაინც შენს აზრზე დარჩები. მოვიცადოთ რამდენიმე კვირა, როცა საფრთხე რეალური გახდება, მიხვდები, რომ მართალი ვარ. ხომ იცი: შიშს დიდი თვალეები აქვს! (იღიმება) აი, რომ შეგეშინდება, შემდეგ ვისაუბროთ, მე რაღაც მაქვს მოფიქრებული, გეტყვი, აუცილებლად გეტყვი!

**კარლო ჩხეიძე:** ახლა მითხარი! თქმას რა უდგას წინ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** კარლო! ახლა შენ გგონია, რომ მთავარია ის მგზნებარე, რევოლუციური პათოსით გაჟღერებული სიტყვა, პეტროგრადის საბჭოზე რომ იტყვი. დარწმუნებული ვარ, ტაშსაც დაგიკრავენ. მგზნებარე სიტყვებითა და ტაშით ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებთ. ის ხალხი, დღეს შენ რომ ტაშს დაგიკრავს, ხვალ სხვას დაუკრავს ტაშს, სხვას დაუჭერს მხარს, არ გესწავლება ეს შენ ჩემგან. ნუ გექნება იმ ხალხის იმედი, თავს ნუ მოიტყუებ! კარგად დაფიქრდი, ნუ აჩქარდები, მე კიდევ შემოგივლი (იოსებ ჯუღაშვილი ადგება, კარლო ჩხეიძეს ხელს ჩამოართმევს და გადის).

## მეშვიდე სცენა

პეტროგრადი. რსდმპ კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან იოსებ ჯუღაშვილი და ფელიქს ძერჟინსკი. დრო: 1917 წლის აგვისტო.

**იოსებ ჯუღაშვილი:** ფელიქს ედმუნდოვიჩ! სანამ ეს გამოტვირთული ლენინი, ტროცკი და მათი კამპანია უქმად კარგავენ დროს, გენერალმა ლავრ კორნილოვმა მთავრობის თავმჯდომარესთან ალექსანდრე კერენსკისთან მოლაპარაკება დაიწყო. გენერალ კორნილოვის უკან სერიოზული ძალა დგას: გენერლები დენიკინი, ლოკომსკი, ალექსეევი და სხვები. კორნილოვი კერენსკის სამხედრო დიქტატურის დამყარებას სთავაზობს. როგორც მაცნობეს, კერენსკი მერყეობს, ვერაფერი გადაწყვიტა, მეორე შეხვედრაა დანიშნული. თუ კორნილოვმა კერენსკი დაითანხმა, ყველაფერი დამთავრდა – ბოლშევიკები ხელისუფლებას ვეღარასოდეს ვეღირსებით.

**ფელიქს ძერჟინსკი:** რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ?

**იოსებ ჯუღაშვილი:** მდგომარეობის ხსნა შეიძლება! ამისათვის საჭიროა ალექსანდრე კერენსკი დავარწმუნოთ, რომ შორს დაიჭიროს თავი გენერალ კორნილოვისაგან. უნდა შევაშინოთ, რომ სამხედრო დიქტატურის შემთხვევაში სახრჩობელაზე პირველი მას აიყვანენ.

**ფელიქს ძერჟინსკი:** ვინ გააკეთებს ამას, ვერც შენ და ვერც მე ზამთრის სასახლეში ვერ გამოეჩნდებით, რომც გამოეჩნდეთ, კერენსკი ჩვენ არ გვენდობა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** სწორი ხარ. ამ მისიის შესრულება მე კარლო ჩხეიძეს ვთხოვე. რომ არ ეელოდი, ისე სწრაფად დამეთანხმა, ესაუბრა უკვე კიდევ კერენსკის.

**ფელიქს ძერჟინსკი:** მერე? დაარწმუნა?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ჯერ ერთი, კერენსკი მშიშარაა; მეორეც, კერენსკისათვის კარლო ჩხეიძე დიდი ავტორიტეტია. კერენსკის ისე შეშინებია, რომ კარლოსათვის უთქვამს: თუ კორნილოვის

მოთხოვნამ ულტიმატუმის ხასიათი მიიღო, მეამბოხედ გამოვაცხადებ და მისი დაპატიმრების განკარგულებას გავცემო!

**ფელიქს ძერჟინსკი (იცინის):** ეს იმას ნიშნავს, რომ პეტროგრადში პარადი კვლავ ქართველებს მიგყავთ!

**იოსებ ჯუღაშვილი:** ფელიქს! ახლა შენი ჯერია. ლენინი უნდა დაარწმუნო, რომ თუ სახელმწიფო გადატრიალებას არ მოვახდენთ, შეიძლება სამხედროებმა კერენსკი გადააგდონ და დიქტატურა დაამყარონ. პირდაპირ უთხარი: რუსი გენერლები, კორნილოვი იქნება ეს თუ ალექსეევი, ლენინს გერმანიის გენერალურ შტაბთან თანამშრომლობას არ აპატიებენ და ჩამოახრჩობენ. ერთი სიტყვით, მაგრად შეაშინე!

**ფელიქს ძერჟინსკი:** არ უნდა იყოს ძნელი საქმე. ერთხელ ამის თაობაზე სიტყვა გადავუკარი და ფერი დაკარგა, ეშინია!

**იოსებ ჯუღაშვილი:** გადატრიალების შემთხვევაში რამდენი კაცის მხარდაჭერის იმედი უნდა გვქონდეს?

**ფელიქს ძერჟინსკი:** ხუთი-შვიდი ათასი მეზღვაურისა, ორი-სამი ათასი ჯარისკაცისა და ოთხი-ხუთი ათასი მუშისა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** საკმარისია. უნდა ვივარაუდო, რომ გადატრიალების წინა დღეს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

**ფელიქს ძერჟინსკი:** მეც ასე ვფიქრობ!

**იოსებ ჯუღაშვილი (იცინის):** აბა გასწი და ვლადიმერ ილინს ანგელოზები დაუფრთხე! (*ფელიქს ძერჟინსკი დაემშვიდობება და გადის*).

**იოსებ ჯუღაშვილი (მარტო დარჩენილი):** აი, რუსეთის ტრაგედია! რევოლუციამ რომანოვების დინასტია დაამხო, მაგრამ საშველი მაინც არაა. ვინ ცდილობს რუსეთის ბედის გადაწყვეტას: მშიშარა კერენსკი, მოლაყბე მილიუკოვი, მანიაკი ლენინი, მედროვე ტროცკი, ვიგინდარა ზინოვიევი! ვის ეგონა, რომ რუსი გენერლები ასე უსუსურები გამოდგებოდნენ! რუსეთის ხსნა ახლა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებას შეუძლია! რუსეთს მკაცრი, დაუნდობელი, საქმიანი მთავრობა სჭირდება. ამ ვიგინდარების დრო უნდა დამთავრდეს! (*ჩაფიქრდება*).

## მერვე სცენა

პეტროგრადი. მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოს რეზიდენცია. ვესტიბიულში დგანან კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. დრო: 1917 წლის 24 ოქტომბრის დილა.

(*შემოდის იოსებ ჯუღაშვილი, თითქოს კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს ვერც ამჩნევს*).

**კარლო ჩხეიძე:** კობა! აქეთ მოგვხედეთ, საქმე გვაქვს შენთან!

**იოსებ ჯუღაშვილი (მიუახლოვდება):** გამარჯობათ! (*ორივეს ხელს ჩამოართმევს*). აი, რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების პარადოქსი. კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი განზე დგანან და შეჰყურებენ, როგორ ღუპავს ქვეყანას ეს იდიოტი კერენსკი!

**ირაკლი წერეთელი:** ვითომ გენადვლება ეს შენ? მე რომ მინისტრობიდან გადამაყენეს, აღფრთოვანებით არ წერდი ერთ გაზეთში: „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია წავიდესო!“

**იოსებ ჯუღაშვილი (ვითომც ვერ მიხვდა ნათქვამის აზრს):** რადგან გაზეთი ასხენე, მეც გაზეთის თაობაზე მინდა გითხრათ.

**კარლო ჩხეიძე:** რა გაზეთის?

**იოსებ ჯუღაშვილი:** გუშინ ღამით, თუ დღეს გამთენიისას მთავრობის განკარგულებით დაუსურავთ გაზეთები „რაბონი პოეტ“ და „სოლდატ“. რატომ აკეთებს ამას კერენსკი, რა უნდა ბოლშევიკებისაგან? ხომ დავეხმარეთ კორნილოვის ამბოხების ჩახშობაში!

**კარლო ჩხეიძე:** კობა! ხმები დადის, რომ ბოლშევიკები ამბოხებას ამზადებთ. სწორია ეს?

**იოსებ ჯუღაშვილი:** ასეთი ხმები დადიოდა 1917 წლის ივლისში, აგვისტოში და სექტემბერშიც. გახსოვთ?

**ირაკლი წერეთელი:** გვახსოვს, მაგრამ ახლა დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს მარტო ხმები, ჭორები არაა.

**იოსებ ჯუღაშვილი:** კერენსკი სულ ბოლშევიკების ამბოხებაზე ლაყობს და კინაღამ გენერალმა კორნილოვმა გადააყენა! ახლაც ასეა: შიშს დიდი თვალეები აქვს, ეშინია კერენსკის, ეშინია და ამბოხება ელანდება. ეს მიკვირს, თქვენ რატომ ყვებით ამ ჭორებს?

**კარლო ჩხეიძე:** კობა! ჩვენ კერენსკის არ ვიცავთ, ჩვენ რუსეთის რევოლუციის მონაპოვარს ვიცავთ, გვეშინია, ქვეყანა უფსკრულში არ გადაიხეოს!

**იოსებ ჯუღაშვილი:** აბა დაფიქრდით: ზინოვიევი, კამენევი და ბუხარინი სასტიკი წინააღმდეგი არიან ყოველგვარი შეიარაღებული აჯანყებისა, გაიგებდით ამას თქვენ! ტროცკი თავს იკლავს, ხელისუფლების საკითხი ქუჩაში კი არ უნდა გაირკვეს, არამედ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზე, რომელიც ხვალ იხსნება! მაშ ვინ ამზადებს ამბოხებას? იქნებ ფიქრობთ, რომ მე? არა, ბატონებო! მე ამ დილით იმიტომ გეახელით, რომ მთავრობის მიერ დახურული გაზეთების გამოცემის ნებართვის მიღებაში დამეხმაროთ. ორივე ნომრის კლიშეები და ანაბეჭდები ამოღებულია, გაზეთი დღეს ვეღარ გამოვა, იქნებ ხვალ დილით მაინც გამოვიდეს. თუ დახმარებას მპირდებით, ნებართვისათვის სადამოს შემოგივლით.

**კარლო ჩხეიძე:** ვეცდებით, ხუთი საათისათვის შემოგვიარე, ან მე ან ირაკლი გენახე; კერენსკის არ დაენახო, ცუდად წავა შენი საქმე, იცოდე! (იცინის).

**იოსებ ჯუღაშვილი:** არც ვაპირებ. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, სადამოს შემოგივლით (დაემშვიდობება და გადის).

**კარლო ჩხეიძე:** ირაკლი! აჯანყება რომ მზადდებოდეს, იოსებ ჯუღაშვილი ქუჩაში არ დაიწყებდა ხეტიალს, ხომ იცი, ეგეთი საქმე მაგის გარეშე არ მოხდება. აჯანყება რომ მზადდებოდეს, ჯუღაშვილი ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან იქნებოდა!

**ირაკლი წერეთელი:** კარლო! მე მაინც მგონია, რომ ჯუღაშვილი სიმართლეს არ ამბობს, მაგისი ნდობა როგორ შეიძლება, გაზეთების ამბავიც მოგონილი მგონია!

**კარლო ჩხეიძე:** გაზეთები ნამდვილად დახურეს!

**ირაკლი წერეთელი:** გაზეთები კი დახურეს, მაგრამ რა, ჯუღაშვილის საქმეა მათი გამოცემის განახლების ნებართვაზე ზრუნვა! მგონია, ჩვენს შეცდომაში შეყვანას ცდილობს, ამიტომ მობრძანდა აქ!

**კარლო ჩხეიძე (დაფიქრებით):** აბა, არ მოვასხენო კერენსკის ჯულაშილის ვიზიტის ამბავი?

**ირაკლი წერეთელი:** არ ვიცი, როგორც გინდა! მე დიდი ხანია ჯულაშილისა არაფერი არ მწამს! შენ ვერ ატყობ, რომ ლენინს თავის ჭკუაზე ატარებს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ლენინს ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და ბუხარინი?! თანაც ჩუმ-ჩუმად დასცინის ლენინს, გერმანიის აგენტს უწოდებს. ერთი სიტყვით, სულ გამოაშტერა ის საცოდავი, სადღაც ჰყავს გადამალული, გარეთ ცხვირს არ აყოფინებს. ამბობენ, ლენინის კონსპირაციული ბინის მისამართი მარტო ჯულაშილმა იცისო!

**კარლო ჩხეიძე:** წავალ, კერენსკის ვნახავ, ჯულაშილის ვიზიტის ამბავს მოვუყვები, დასკვნები თვითონ გააკეთოს! (ორივენი გადიან).

### მეცხრე სცენა

პეტროგრადი. სმოლნი. კაბინეტში ზის იოსებ ჯულაშილი და რაღაცას კითხულობს. დრო: 1917 წლის 26 ოქტომბრის ღამე.

*(კაბინეტში შემოდის უძილარი, გადაქანცული ფელიქს ძერჟინსკი. იოსებ ჯულაშილი თავს აიღებს, მასაც დაღლილობა ეტყობა).*

**იოსებ ჯულაშილი:** რა ამბავი მოიტანე? რა მდგომარეობაა ზამთრის სასახლის გარშემო?

**ფელიქს ძერჟინსკი:** სულ ცოტა ხნის წინ, 2 საათსა და 40 წუთზე ზამთრის სასახლე დავიკავეთ. მთავრობა დაპატიმრებულია. ალექსანდრე კერენსკიმ გაქცევა მოახერხა.

**იოსებ ჯულაშილი:** ჯანდაბამდე გზა ჰქონია მაგ ლემს! ქალაქში რა მდგომარეობაა?

**ფელიქს ძერჟინსკი:** ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზის ვაგზლები, საზღვაო ვაგზალი, ხიდები, არსენალი ჩვენს ხელთაა, მეზღვაურთა და მუშათა რაზმები იცავენ, კახაკები ყაზარმებში არიან, გარეთ არ გამოდიან. მოსახლეობა სიმშვიდეს ინარჩუნებს, არ აქტიურობს.

**იოსებ ჯულაშილი:** რამდენი კაცი დავკარგეთ?

**ფელიქს ძერჟინსკი:** მოგვიკლეს 6 კაცი, რამდენიმე ათეული დაიჭრა!

**იოსებ ჯულაშილი:** ახლა თუ მაინც გაიგებენ ლენინი და ტროცკი, რომ ხელისუფლების დასაპყრობად მასები და რევოლუცია სულაც არ არის საჭირო. ამ იდიოტებმა ვერაფერი ისწავლეს ისტორიიდან!

**ფელიქს ძერჟინსკი:** ჰო, სად არიან ლენინი და ტროცკი?

**იოსებ ჯულაშილი:** ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! ეს ორი ტაკიმასხარა, რუსეთის ეს ორი დიდი სირცხვილი, ალბათ, გამარჯვებული ბელადის მანტიას ირგებს და ხვალ დამშეულ ხალხს მსოფლიო რევოლუციისკენ მოუწოდებენ! ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ!

**ფელიქს ძერჟინსკი:** ესე იგი, რევოლუციის ბელადებად ისინი შეირაცხებიან? ხელისუფლება ხომ თქვენი გეგმის წყალობით ავიღეთ?

**იოსებ ჯულაშილი (ფეხზე წამოდგება):** ასეა! მე ჯერ კიდევ ცრუ ბელადების ჩრდილში უნდა დავრჩე. რუსეთის ისტორია თავისი კანონზომიერებებით ვითარდება, ჩვენ მას ვერ შევცვლით!

ყველა ცრუ ბელადი ადრე თუ გვიან ცუდად ამთავრებს. ცუდად დაამთავრებენ: ლენინი, ტროცკი და კიდევ მრავალი პატარა ცრუ ბელადი. მანამდე კი რუსეთის პატრონი არ ეყოლება. ესაა რუსეთის ბესდისწერა! რუსეთი მბრძანებელს ელოდება, ეს მბრძანებელი ვიქნები მე! დადგება ჩემი ეპოქა – სტალინის ეპოქა! (იოსებ ჯულაშვილი რამდენიმე წამით დაძაბული უყურებს კედელზე გაკრულ რუსეთის იმპერიის რუკას, რომლის თეთრი ფერი თანდათან წითელში გადადის. შემდეგ ფურცელს აიღებს, დოკუმენტს სწრაფად ჩაიკითხავს და ნერვიული მოძრაობით ფურცლის ბოლოს ხელს მოაწერს).

ფარდა

(მეორე მოქმედების დასასრული)